სახალხო გაზეთი

№ 682 ჰარასკევი, 24 აგვისტო, 1912 წ. № 682

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო-ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა ,,შრომა''-ში, მუხრანის ქუჩა, და ეღირება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და მ. მეტცლ და ამხ.-ბის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში--მორსკაია 11, ვარშავაში--მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში--ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება ,,სახალხო გაზეთი''-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე. საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. რედაქტორთან პირადი მოლაპარაკება შეიძლება ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახ. № 6. ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისთვის: ტფილისი, ქართული ,,სახალხო გაზეთი'' 190.

ტელეფონი №12-29

გაზეთის ფასი წელიწ. 8 მ. 50 კ. ცალკე № ყველგან 5 კ. ,, ,, თვეში — 75 კაპ. დამატებიანი 7 კ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა.

იმ ხელის მომწერთ

რომელთაც „გრდემლი" ერგებათ და ჯერ არ წაუღიათ, ვთხოვთ ან წაიღონ რედაქციიდან ან გამოგზავნონ ფოსტის ხარჯად 30 კ. (შეიძლება მარკებით) რომ ადგილობრივ გაეგზანოთ.

სახ. გაზ. კანტორა.

სახალხო გაზეთი სურათებიანი დამატებით

მიიღება ხელის მოწერა 1912 წლისათვის.

(არ მიიღება ხელის მოწერა ცალკე, უდამატებოდ და არც სურათებიანი დამატება იყიდება ცალკე).

წელიწადში ღირს 8 მან. 50 კაპ.

1 ენკენისთვიდგან წლის დამლევამდე ღირს 3 მან.

თვეში ღირს — — 75 კაპ.

(როგორც ქალაქში, ისე ქალაქ გარედ). საზღვარ-გარედ თვეში ზედ-მეტი 25 კაპ.

წლიურ ხელის მომწერთ (რომელთაც პრემია „გრდემლი" ერგებათ) 8 მან. 50 კ. უნდა ჰქონდეთ გადახდილი შემდეგ ვადებზე: პირველად 3 მ., 1 მარტისათვის 5 მან., 1 მაისისათვის 7 მ. და დანარჩენი უნდა გადახდილი იყოს 1-ლ ივლისამდე.

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის 1 რიცხვიდან, მხოლოდ სრული თვეებით და მხოლოდ მიმდინარე წლის ბოლომდე.

გაზეთს, ფულის მიღების უფლებით, არსად არავითარი აგენტი არა ჰყავს (გარდა წ.-კ. ს. მთავარ გამგეობის ტფილისის წიგნის მაღაზიისა) და ამიტომ პასუხს აგებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ფული ან ფოსტით არის გამოგზავნილი, ან პირდაპირ კანტორაშია მიღებული.

რედაქცია დაუბეჭდავ ნაწერების შესახებ ავტორებთან მიწერ-მოწერას არ ჰმართავს, თუნდ საპასუხო მარკაც იყოს გამოგზავნილი და დაუბეჭდავ წერილებსაც არ ინახავს. დანარჩენ შემთხვევაში ყოველ შეკითხვის ან რაიმე ცნობის შესახებ საპასუხოდ საჭიროა ფოსტის მარკა.

დანარჩენი პირობები იხ. გაზეთის სათაურში.

წინამძღვარიანთ-კარის სამეურნეო სასწავლებელში

ოცდა-შვიდიდამ ამ მარიამობის თვიდამ პირველ ენკენისთვემდინ მიიღებიან მოსწავლეთ ჯანმრთელნი ყმაწვილები არა ნაკლებ ათის წლისა. დამაარსებელი და მზრუნველი სკოლისა ი. წინამძღვრიშვილი. (5—1443—4)

გამოსულია და იყიდება ი. გედევანიშვილის პიესა „გამცემი"

დრამა 3 მოქმედ. ფასი 25 კ.

ტფილისის კერძო სამკურნალო

ძმენიევის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 7, მეტეხლის სასტუმროს და მიხეილის პროსპექტ. ახლო

ტელეფონი № 590.

სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით, განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.

მწოლიარე ავადმყოფების მიღება შეიძლება ყოველ წამს, გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი სპეციალისტი-ექიმები:

შინაგანი ავადმყოფ.	ლამბაშიძე გ. დ. (ყოველ დღე, გარდა კვირისა). 11½—12 საათ. დავითიანი რ. ს. (ყოველ დღე) 1—2. ქიქოძე ტ. ს. (ორშაბათ. და ოთხშაბ.) 9—10. ჩადლაშვილი გ. გ. (ორშაბ., სამშაბ. და შაბათობით) 10—12. მახვილაძე (?) გ. მ. (ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ.) 2—3. მიქელაძე შ. ა. (ყოველ დღე) 12½—1. ფედოროვა ე. გ. (ყოველ დღე, გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1.
ქირურგ.	ნარკევიჩი გ. ლ. კონსულტატი (ორშაბ., ოთხშ. და პარასკ.) 11½—12½. მელიქიშვილი ნ. მ. (ყოველ დღე) 10—1. ფირბილოვა რ. ნ. (ყოველ დღე) 12—1.
საშობიარო და ქალთა სნეულ.	ექიმი-ქალი ვერბიცკაია-ფირადოვასა ლ. (ყოველ დღე) 11—12. მელიქიშვილი ნ. მ. (ყოველ დღე) 10—1. სულაკაური ა. ი. (ყოველ დღე) 12—1. თიკანაძე ი. ე. (ყოველ დღე) 1—2.
ბავშვთა სნეულ.	ლამბაშიძე გ. დ. (ყოველ დღ. კვირ. გარდა), 12½—12 ს. მიქელაძე შ. ა. (ყოველ დღე) 12½—1. ფედოროვა ე. გ (ყოველ დღე გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1.
ნერვ. სნეულ.	გედევანიშვილი მ. ა. (შაბათობით) 10½—11. დავითიანი რ. ს. (ყოველ დღე) 1—2.
ყურის, ცხვ. და ყელ.	ათენიანცი ნ. ა. (ყოველ დღე) 1—2. ორემბოვსკი ნ. ს. (ყოველ დღე) 2½—3.
თვალ.	მუსხელიშვილი გ. ს. (ორშაბათობით, ოთხშაბ. და პარასკ. 2—2½.
კან. და ვენ.	მზარეულიშვილი მ. ი. (ყოველ დღე) 1—1½.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. სისხლის გასინჯვა, ათამანგ. Wassermann. რჩევისათვის 50 კ., საწოლები 2 მ. დაწყებული. ცალკე ოთახი 5 მანეთიდან. მშობიარობა 10 დღე წოლით ღირს 40 მ. ოპერაციები, კონსულიუმი, შარდის ბუშტისა და მილების კატეტერიზაცია; ,,606'' წამლის შეშხაპუნება, ელექტრონით წამლ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შეღავათიანი საფასურით. (წ. 2010.100)

გამოსულია და იყიდება არჩილ ჯორჯაძის თხზულებანი:

I ტ. „ეროვნულ პრობლემის გარშემო" ფასი „ „ „ 75 კ.
II „ „ჩვენი საზოგადოებრივობა „ „ „ „ 80 კ.
III „ „ნააზრევი" „ „ „ „ „ „ 65 კ.
IV „ წერილები „ცნობის ფურც."-„მოამბ." 1901—1902 წ. „ 85 კ.

საზაფხულო ახალი კლუბი თეატრი.

ხუთშაბათს, 30 აგვისტოს,

ლოტბარ ს. ი. პრესმანის ბენეფისი,

სიმფონიური საღამო კ. ო. ვალენსკის (ტენორი), თამარა ძნელაძის (მესკრიპკე) და ქ-ნ მ. დ. გედევანიშვილის (სოპრანო) მონაწილეობით. დაწვრილებით პროგრამებში. დასაწყ. საღ. 9 საათ., თეატრში შესასვლ. ფასი 1 მანეთიდან 50 კ.-დე. სტუმრები კლუბში შესასვლელად იხდიან: კაცები 50 კ., ქალები, სტუდ. და საშუალ. სასწ. მოწაფენი 25 კ. ბილეთები უკვე იყიდება. (4—1445—1)

მეტეხლის თეატრი (მიხაილოვის ქუჩა).

შაბათს, 25 აგვისტოს, 1912 წ.

მსახიობთა ქ-ნი ზარდალიშვილისა (ურბნელი) და ბ-ნ დ. აწყურელის მონაწილეობით და სახალხო სცენის მოყვარეთა დახმარებით წარმოდგენილი იქნება აკაკი წერეთლის ცნობილი მხიარული კომედია **პინტო**, 3 მოქ. 2) **დატრიალდა ჯარა**, ვოდევ. 1 მოქ. კ. ყიფიანისა. მონაწილეობას მიიღებენ ქ-ნი ზარდალიშვილისა (ურბნელი), თ. აფხაზიშვილი; ბ-ნი დ. აწყურელი, გ. გელიკურაშვილი, რ. სალუქაია, მ. ჯანველოვი, ალ გოჩიტაშვილი, ლ. ლეჟავა, თუშმალოვი, სულთანოვი და ს. ბაჯიაშვილი

ბილეთები იყიდება თეატრის კასაში ყოველ დღე. ✦ დასაწყ. საღ. 8 ნახ. ს.

(1.628.1) გამგე მ. ავალიანი, რეჟისორი გ. გელიკურაშვილი.

„განათლების" საზოგადოების ქალთა სასწავლებელი

პროგიმნაზიული კურსით, რომელიც შესდგება სამი მოსამზადებელი განყოფილებისა და ოთხი პროგიმნაზიული კლასისაგან.

(საკუთარი სახლი, სვიატოპოლკ-მირსკის ქუჩა № 6).

ამით აცხადებს, რომ მისაღები გამოცდა მოწაფეებისა დაიწყება 27 აგვისტოდან, განმეორებითი—1 სექტემბრიდან. სწავლა დაიწყება 4 სექტემბერს.

ამავე სასწავლებელთან სექტემბერში იხსნება პროფესიონალური განყოფილება საზოგადო განვითარების კურსებით. (2.1458.2)

ტფილისის ქართული ფილარმონიული საზოგადოების სამუსიკო სკოლა

გადავიდა ახალ სადგომში (კორგანოვის ქუჩაზე, ალ. გრ. რჩეულიშვილის სახლში № 6.

მოწაფეთა მიღება: ფორტეპიანოსა, სკრიპკისა, ვიოლონჩელისა, კონტრაბასის სიმღერა (solo), ელემენტარული თეორიის, ნოტების კითხვის (solfegio), გარმონიის, ენციკლოპედიისა და გუნდის კლასებში დაიწყება 27 აგვისტოდან ყოველ დღე, (კვირა-უქმის გარდა), დილის 10—2 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე სკოლის კანტორაში. სწავლის ფასი: ფორტეპიანოსა, ვიოლონჩელისა და კონტრაბასის კლასებში 65 მანეთი წელიწადში, სკრიპკისა და სიმღერა (solo), 65 და 5 მანეთი თეორეტიულ კლასებში 15 მანეთი წელიწადში. სწავლის ფული გადახდილი უნდა იყვეს ნახევარის წლობით. მასწავლებელთა ს ა: ფორტეპიანოს კლასში: ქ-ნ მ. ამირეჯიბისა, ნ. კ. ტალაშნიკოვა. ო. მ. ბერგი-პივკაროვისა, ე. ვ ფუშელისა და თ. ს. შაზუროვისა; სკრიპკის კლასში: მ ნ. ყარაშვილი და მ ტ. ვასილიევი; ვიოლონჩელის კლასში: ე. ნ. კოპელნიცკი; კონტრაბასის კლ.: მ. ი. შერბოვი; სიმღერა (solo) ე. ბროჯი. ფილორიის კლასებში და ნოტების კითხვა ზ. პ. ფალიაშვილი.

ახლად მოწვეულ იქმნენ მასწავლებლებად: პეტერბურგის კონსერვატორია დამთავრებული პროფ. დუბაროვის კლას. თავისუფალი ხელოსანი ელ. გრ. ქიქოძისა და მოსკოვის კონსერვატორია დასრულებული პროფეს. იგუმანოვის კლასში, თავისუფალი ხელოსანი ნ. ივ. ბაბასინოვისა

ხმების გასინჯვა, ქალთა და ვაჟთა, ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში, არსებულ ქართულ გუნდისთვის მოხდება ყოველ დღე 5 7 საათამდე საღამოთი.

პარაკლისი და სწავლის დაწყება 1 სექტემბერს. (10.429.5)

ტფილისის სათავ.-აზნაურო გიმნაზიის დირექტორი

უცხადებს ამ გიმნაზიის მოწაფეთ,

რომ შაბათს, 25 ამ თვეს, ნაშუადღევის 4½ საათზე უნდა გამოცხადდნენ გიმნაზიაში საზაფხულო ტანისამოსში სუფთად ჩაცმულნი (შავი შარვალი, თეთრი ბლუზა და ქუდი.) (3.1462.2)

მიიღება ხელის მოწერა

„მოლიპულ გზაზე" ანასტასია ერისთავ-ხოშტარიასი.

(რომანი)

600 გვერდამდე კარგ ქაღალდზე დაბეჭდილი წიგნი ხელის მოწერით ეღირება, მხოლოდ ერთი მანეთი, შემდეგ კი ფასი ერთი-ორად იქნება გადიდებული. შეიძლება დაკვეთა: ტფილისში—ქ. შ. წ.-კ. გ. საზოგადოების წიგნის მაღაზიაში; ქუთაისში—კანტორა ,,იმერეთში'' და თ. მთავრიშვილის წიგნის მაღაზიაში; გორში—გაზეთ ,,ქართლის'' კანტორაში და ი. კვალიაშვილის აფთიაქში, აგრეთვე კანტ. ,,იმერეთის'' ყველა პროვინციელ აგენტებთან და ქართულ წიგნების დამტარებელ ი. კერესელიძესთან. ადრესი: Гори, Анастасія Хоштарія. (ამ შემთხვევაში ფულის გამგზავნის გასამართლებელ საბუთად საკმარისია თვით ფოსტის კვიტანცია). (25—456—4)

შეიძლება დაკვეთა:

ილია ჭავჭავაძის თხზულებანი

ექიმ მიხეილ გედევანიშვილის საგანგებო გამოცემა

წიგნი დაიბეჭდება ძვირფას ქაღალდზე; ილიუსტრაციებით; ძვირფასი ყდით; შეიცავს დაახლოვებით 600 გვერდს; მოთავსებული იქნება ყველა

ლექსი და ბელეტრისტული ნაწარმოები,

(აგრეთვე ჯერ დაუბეჭდავიც); ჩაერთობა მგოსნის ვრცელი ბიოგრაფია და მისი ნაწარმოებების კრიტიკული განხილვა, ფორმატი in quarto.

ფასი 8 მანეთი, რომლის გადახდა შეიძლება სამ ნაწილად; 3 მან. ხელის მოწერისთანავე, 3 მ. ენკენისთვეში და 2 მ. გიორგობისთვეში. ვინც 100 ცალზე ნაკლებს არ გამოიწერს, 10% დაეთმობა. გასასყიდად წიგნი არ გამოვა. დამკვეთელთ წიგნები დაურიგდებათ 1913 წელში.

წიგნის დაკვეთა შეიძლება: ტფილისში, ყორღანოვის ქუჩა, № 20, ექიმ მიხეილ გედევანიშვილთან; და წერა-კითხვის საზ. წიგნის მაღაზიაში.

ტფილისში აგენტად დანიშნულია ნიკოლოზ ლონგინოზის ძე კვახაძე. ქუთაისში—წ. კ. ს. მდივან იასონ ბაქრაძესთან და იოსებ ოცხელთან. ფოთში—იონა მეუნარგიასთან. ✦ თელავში—თამარ აბაშიძესთან. სამტრედიაში—ბ. ი. სტურუასთან. ✦ ხონში—ეფროსინე ჭიჭინაძესთან. სიღნაღში—ექ. ჯანდიერთან. ✦ ბაქოში—ილია აგლაძესთან. სოხუმში—ნიკო თავდგირიძესთან. ✦ ოზურგეთში—ექ. დიმ. ერისთავთან. ჭიათურაში—წ. კ. გ. ს. ირ. დეკანოზიშვილთან. ✦ ერევანში--ელენე ვირსალაძესთან

ბათომში—ს. მდივანთან. კავკავში—სოფიო კალანდარაშვილთან. გორში—ნიკო ლომაურთან. ახალციხეში—როზალია ბელიაშვილთან ვინც წიგნის დასაკვეთად ფულს ფოსტით თვით გამომცემლის სახელზე გზავნის, მათთვის გასამართლებელ საბუთად საკმარისია თვით ფოსტის კვიტანცია. (3—153—3)

საგურთალოზე

მშვენიერ ალაგას, ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის მომავალ ხიდის მახლობლად დაიჭრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ხელმისაწვდენელ ფასებში.

მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე თაქთაქიშვილს, დილის 8 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. საღამოს 5 საათიდან 8 საათამდე. უმორჩილესად ვთხოვთ მიწის მყიდველებს, რომ თავის დროზე შემოიტანონ დარჩენილი ვალი, თანახმად ჩვენგან მიცემულ კვიტანციისა. (წ. 1020 371)

ვაკზლის კერძო სამკურნალო

კარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფებისთვის.

ვაგზლის ქუჩა. № 8. ტელეფონი № 695.

ე. ს. გაშაკიძე. ყოველ დღე, შინაგან ავადმყ. 9½ ს. 10 ს,

ა. ნ. დიასამიძე ყოვ. დღე, კვირ. გარდა. სიფილ., კანისა და ვენერ. 11 12 ს.

ბ. ა. ბოჩორიშვილი (?) ყოვ. დღე, კვირ. გარდა ყელ., ყურ. და ცხვ. სნეულ. 11 11½.

შ. ა. მიქელაძე შინაგან და ბავშვთა ავადმყ. 1 2 ს.

ნ. მ. მელიქიშვილი. ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1 2 ს.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით,

წამლობა ,,606''-ით.

(წლ—1018—62).

ელექტრონისა და რენტგენის სამკურნალო მიხ. გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებს ყოველ-დღე დილ. 12—1 ს., საღამოს 6—7 ს., გაშინჯვა და გადაღება რენტგენის სხივებით. ვერა, ყორღანოვის ქ. № 20. (წ.—1022—71)

ექიმი ი. ი. ბერიშვილი სწამლობს საშარდე ორგანოთა, ათაშანგისა და კანის ავადმყ.; ერლიხ-ჰატას (?) რეაქციით იკვლ. ათაშანგ. მოწამლ. სისხლს. მიღება ნაშუადღ. 3—5½ ს. ელისაბედ. ქ., № 94, საფოსტო განყოფი. პირდაპირ. (25—1178—95)

ექიმი შ. ა. მიქელაძე იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 ნახ.—6½ საათ. კახეთის ქ., № 6

ექიმი კბილისა აბასთუმანში ალ. სოლოღაშვილი იღებს ავადმყოფებს. აგარაკი ტერმარქაროვისა. (0—1334—49)

ექიმი ქალი დ. გ. საყვარელიძე. იღებს ავადმყოფებს ქალისა და საბებიო. ნაშუადღ. 1—2 ს., საღამოს 5 6 საათამდე. კიროჩნის ქუჩა, № 9. (25.595.10)

ექიმი აბასთუმანში ე. ი. მინასიანცი იღებს ავადმყოფებს. აგარაკი ტერმარქაროვისა. (წ. 1347.230)

ექიმი ა. ნ. დიასამიძე კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოვ.-დღე ნაშუადღ. 2—3 ს. საღამ. 6—7 ს. ხუთშაბ. მხოლოდ დილ. 8—9 ს. კვირ. ავადმყ. არ იღებს. მოსკოვის ქუჩა, № 3, ს. ბარაშვილისა.

ექიმი კბილისა და ღრძილებისა პ. ა. ძაჯაია იღებს ავადმყოფებს დილით 8—2 ს. საღამოთი 3—7 საათამდე. ელისაბედის ქუჩა, № 115 (დიდუბე). (თ.—1049—126)

ექიმი ს. ი. გძელიშვილი შინაგანი (?) სნეულობისა და ვენერიულ ავადმყ. დილ. 9—11 საათ., საღ. 6—8 საათ. დიდუბე. საგურამოს ქ., (მუშტაიდის ბაღის შუაგულიდან მოპირდაპირე), № 21, ხრამელაშვილის სახლი. დღ ისით: 2—4 საათამდე. ბარონისა და ბაზრის ქუჩა კუთხე, № 14. (0—1411—30)

ექიმი ე. ვაშაკიძე იღებს შინაგან სნეულ. ავადმყ. დილის 9—, საათ., საღამოს 7 ს., ბაქოს ქუჩ. № 12.

ექიმი ქალი კბილისა ნინო რცხილაძე 20 ივანისიდან იღებს ავადმყოფებს ქ. თელავში. 3—9 საათამდე.

ექიმი პ. არდაზიანი შინაგან და ბავშვებ. ავადმყ. (სპეციალ. ფილტვებ. სნეულ. რევმატიზმი-ქარები) ტფილისი, ალექსანდროვის ქუჩა, № 3. 11—2 ს. საღამ. 5—7. (25.1045.185)

ტფილისი 24 აგვისტო

არჩევნების გარშემო. საარჩევნო კომპანია ჩვენ ში, ისე როგორც საზოგადოდ რუსეთ ში, მემარჯვენეებმა დაიწყეს. ტფილისში კიდეც გაიმართა ერთი წინასწარი თათბირი რუს ამომრჩევლებისა. მართალია ეს თათბირი ვერავითარ გარკვეულ გადაწყვეტილებას ვერ დაადგა, მაგრამ მაინც სიმპტომატიურია, რომ პირველად ისინი ახმაურდნენ. წრევანდელ საარჩევნო კომპანიაში მემარჯვენეთ ყოველნაირი უპირატესობა აქვთ მინიჭებული, მაშინ როდესაც სხვა საზოგადოებრივი ჯგუფნი დაუსრულებლივ განიცდიან თვალსაჩინო ხედგავლენას. ორგანიზაციული საარჩევნო კომპანია ჩვენში ჯერ არ დაწყებულა, მაგრამ ვინც ქართულ პრესას თვალ-ყურს ადევნებს, მიხვდება, რომ იგი ერთავად არჩევნებს უტრიალებს გარშემო. რამდენიმე საზოგადოებრივი ჯგუფი უკვე გამორკვეულია. არჩევნების დროს მათ შორის უსათუოდ ბრძოლა გაიმართება, თუ ძალთა განწყობილებამ არ აიძულა ისინი დიდი-ხნის დავა დაივიწყონ და ერთად მოიგერიონ ჩვენს საზოგადოებაში გამეფებული რეაქციონური ძალა. ამ მიმართულებათა შესახებ თავის დროზე, უეჭველია, კიდევ გვექნება საუბარი. ამ ჟამად კი გვინდა მკითხველის ყურადღება მივაქციოთ იმ საზოგადოებრივ ჯგუფებზე, რომელნიც რეაქციის ხანაშ შობა და აქტივობა საზოგადოებრივ ცხოვრების ზედაპირზე.

ერთი ამ ჯგუფთაგანი ჩვენმა საზოგადოებამ წრევანდელ საქალაქო არჩევნებში გაიცნო. ჩვენს მკითხველებს უეჭველია ჯერ ისევ თვალ წინ უდგას საქალაქო არჩევნების ბრძოლა, რომელიც ქართველებისთვის ისე სამარცხვინოდ დასრულდა და რომელმაც ქართველების სახელით ქალაქის თვით-მმართველობას რამდენიმე უფერული ხმოსანი აჩუქა. ეს ის ჯგუფია, რომელიც რეაქციის ხანაშ ამოატივტივა, რომელსაც „ზაკ. რეჩ"-ი ასაზრდოებს. საზოგადოების ნდობის მოსაპოვებლად ეროვნულ სამოსელში გაეხვია. მაგრამ ის ჯგუფი, რომელზედაც ჩვენ მოგახსენებთ, ყველაზე მეტად არის მოწყვეტილი ქართულ ეროვნულ ცხოვრებას. იგი შესდგება ინტელიგენციის იმ ნაწილისაგან, რომლის ეროვნული საქმიანობაც რუსული გაზეთის გამოცემით იწყება და კლუბით თავდება. არავითარი ეროვნული იდეალი არა აქვთ, ვისაც გარკვეული ეროვნული პროგრამა შეუმუშავებიათ. ამიტომ ისინი ყოველთვის რყევაში არიან და დღეს თუ ეროვნულ ჰანგზე მღერიან, ხვალ „გოლოს კავკაზა"-სთან მიდიან და ჩაეხუტებიან. და აი, ასეთი ჯგუფი, რეაქციის წყალობით, ჯერ კიდევ ნდობას პოულობს ქართულ პოლიტიკურად გაუწვრთნელ საზოგადოებაში.

ასეთივე საზოგადოებრივმა ჯგუფმა თავი იჩინა ქუთაისის გუბერნიაში. იქაც რეაქციონურმა სულიერმა განწყობილებამ წაათამამა იგი. ეს ის ჯგუფია. რომელიც აქამდე ბანკს ედგა სათავეში და სიკვდილის კარამდეც მიიყვანა. მომავალ არჩევნებში უეჭველია ეს ჯგუფებიც ალაპარაკებდიან, მომენტიც ხელს უწყობს. მაგრამ თუ ქართველ საზოგადოების საღ ნაწილს სრულიად არ დაჰკარგვია პოლიტიკური ალღო, შესაფერად დაჰხვდება მათ და საშუალებას არ მისცემს მომავალ სათათბიროში გაჰგზავნოს ისეთი ადამიანები, რომელთა პოლიტიკური მრწამსი ქუჩების მოკირწყვლასა და კანალიზაციისთვის ზრუნვაზე შორს ვერ მიდის.

არავის არ უნდა ჰქონდეს იმედი რომ სათათბირო თვალსაჩინო რე-

ფორმას განახორციელებს ჩვენში. სათათბიროს წარსულ წლების მოღვაწეობა ამის საუკეთესო თავმდებია. მაგრამ, ამისდა მიუხედავად, სათათბირო მაინც პოლიტიკურ ბრძოლის ასპარეზია. ამიტომ ქართველმა საზოგადოებამაც სათათბიროში უნდა აირჩიოს ისეთი დეპუტატები, რომელნიც საქართველოს საკითხს პოლიტიკურის თვალსაზრისით გააშუქებენ და სხვა და სხვა პირად თუ ჯგუფებრივ ინტერესებისთვის მლიქვნელობის პოლიტიკას არ აწარმოვებენ.

ნაციონალიზმი რუსეთის პარლამენტში დღითი-დღე იზრდება. გამარუსებელი პოლიტიკა ბიუროკრატიის ხელიდან სათათბიროს ხელში გადავიდა, და ამიტომ ქართველ ხალხს უსათუოდ უნდა ჰყავდეს სათათბიროში ისეთი დეპუტატები, რომელთა პოლიტიკური მრწამსი სავსებით გამორკვეულია და რომელნიც მედგრად დაიცავენ ადგილობრივ ინტერესებს.

პოლიტიკურად უფერული, მლიქვნელი და პატარა საქმეთა ფილოსოფიით გაჟღენთილი დეპუტატი სიკვდილი იქნება საქართველოს პოლიტიკურ თვითცნობიერებისა.

ავსტრიის მუქარა. ავსტრიის წინადადებამ დიდი აურ-ზაური გამოიწვია. გრ. ბერტხოლდი, ავსტრიის გარეშე საქმეთა მინისტრი, სცდილობდა დაემტკიცებინა ევროპის სახელმწიფოებისთვის, რომ მისი განზრახვა იყო მხოლოდ მშვიდობიანობის დამყარება ბალკანეთზე. მიუხედავად ამისა, ბევრმა ეჭვით შეხედა ბერტხოლდის წინადადებას და მასში დაფარულ აზრის ძებნა დაიწყო. სამართლიანად ამბობდნენ, ავსტრიის დიპლომატიის მიზანია, თავისი ინიციატივით პირველობა დაიჭიროს ბალკანეთზე და მომავალ პრეტენზიებს ნიადაგი მოუმზადოსო. ევროპის სახელმწიფონი ცივად შეხვდნენ ავსტრიის წინადადებას. მაშინ კი ერთბაშად მოსხლტდა ნიღაბი ავსტრიის პოლიტიკას. საყურადღებო ცნობებს გვაწვდის ამის შესახებ „რუსკოე სლოვო", რომელსაც ვენიდან საკუთარი კორესპონდენტი ატყობინებს. „რეიშპოსტი" სწერსო,—ამბობს კორესპონდენტი,—ბერტხოლდს მხოლოდ მშვიდობიანობის ინტერესი ამოძრავებსო. თუ ამ წინადადებას დაუმსახურებელი ეჭვით შეხედეს და ბერტხოლდის ინიციატივამ ნაყოფი ვერ გამოიღო, ავსტრია პასუხისმგებლობაზე უარს იტყვის და თავის შეხედულებით, სხვა სახელმწიფოთა დაუკითხავად, დაიცავს თავის ინტერესებს".

ეს უკვე ნიღაბ ახდილი მუქარაა. რა თქმა უნდა, ასეთი განცხადება ალიაქოთს გამოიწვევდა ევროპის დიპლომატთა წრეებში. მართლაც, ბერლინიდან იმავ გაზეთს დეპეშით ატყობინებენ, ავსტრიის ოფიციოზის მუქარამ აქ დიდი სენსაცია მოახდინაო. სამართლიანად აღნიშნავენ, ავსტრია ამ მუქარით სამთა შეთანხმებას ებრძვისო.

ბალკანეთის ცაზე ღრუბელი შეიკრიფა და სულ უბრალო შემთხვევას შეუძლიან ჰქა-ქუხილი გამოიწვიოს.

ახალი ამბავი

ტფილისი

✦ **კავკასიის ნამესტნიკს წარუდგნენ** 22 აგვისტოს: სახელმწიფო ბანკის ტფ. კანტორის გამგე დ. ვ. ბეზობრაზოვი და ნამესტნიკის საბჭოს წევრი ნ. ფ. დეკუნკოვსკი.

✦ **ნ. ა. პეტროვი,** კავკასიის წყალთა ინსპექტორი, ტფილისს დაბრუნდა.

✦ **პროფ. ა. ს. ხახანაშვილის გარდაცვალების გამო.** როგორც დანამდვილებით გავიგეთ, განსვენებულს პროფესორს ალექსანდრე სოლომონის ძე ხახანაშვილს ნაღდ ფულად დარჩენია 56,500 მან.

✦ **ცეცხლი.** გუშინ, გათენებისას, მოსკოვისა და ოლგას ქუჩების კუთხეში ცეცხლი გაუჩნდა ლოლაძის მაღაზიას. ცეცხლი მთელს სახლს მოედო და ჩანთქა. დარჩა მხოლოდ კედლები. სახლი დაზღეული იყო 12,000 მან. მაღაზია არ იყო დაზღვეული. ზარალი დიდია. დაზარალდა მახლობლად მდებარე № 5 სახელბიც.

✦ **ყარსის სამხედრო გუბერნატორი** პოლკოვნიკი პოდგურსკი ტფილისში ჩამოვიდა.

✦ **საისტორიო და საარქეოლოგიო ნაშთნი.** საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებას საბჭოს წევრი ი. ი. აბულაძე გუშინ ტფილისს დაბრუნდა ქუთაისის გუბერნიიდან, სადაც ის საზოგადოების საბჭოს დავალებით იყო წასული. ბ-ნს აბულაძეს მოუგროვებია და თან ჩამოიტანა მრავალი საყურადღებო ხელთნაწერი, მათ შორის ერთი ტყავზე დაწერილი (სვინაქსარი), რომელიც შორაპნის მაზრის ცხრუკვეთის სასოფლო საზოგადოებისთვის შეუწირავს ბლაღოჩინს მღვდელს იოსებ წერეთელს. შეუგროვებია აგრეთვე სოსანიტური და ძველი ქართული ფული (არაბულისა და სპარსულის წარწერებით), ზღაპრები, ლეგენდები და მრავალი მასალა ენის გამოსაკვლევად. ბ-ნს აბულაძეს მთელი ეს საყურადღებო ნაშთნი საჩხერის საზოგადოებაში შეუგროვებია. ი. აბულაძე თავის მოგზაურობის შესახებ საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების კრებაზე ვრცელს მოხსენებას წაიკითხავს.

✦ **ქ. შ. წ.-კ. გ. საზოგადოებაში.** მოახლოვდა სამოსწავლო წლის დასაწყისი და საზოგადოების გამგეობაც შეუდგა სასწავლო წიგნებისა და სხვა საგნების გაგზავნას თავის სკოლების საჭიროებისთვის. სწავლა საზოგადოების სკოლებში 1 სექტემბერს დაიწყება.

— მომავალ სამოსწავლო წლიდან საზოგადოების გამგეობა კვლავ გახსნის ბორჩალოს მაზრის სოფელ ყალაშიაში თავის სკოლას, რომელიც შარშან დაიხურა რიგიან შენობის უქონლობის გამო. სკოლისათვის საჭიროა მასწავლებელი, რომელსაც თვეში 30 მან. ექნება ჯამაგირად და ამას გარდა უფასოდ დაეთმობა ბინა, შეშა და სხვა.

✦ **ახალი გაზეთი.** გუბერნატორმა ნება დართო სამსახურის გარეშე მყოფს გენერალ-მაიორს ფ. ლ. ფონ-კლიმანს, გამოსცეს ტფილისში **რუსული** სალიტერატურო და საპოლიტიკო **გაზეთი „რუსსკოე დელო"** (რუსული საქმე.) გაზეთი ოთხშაბათობითა და შაბათობით გამოვა.

✦ **წვრილ კრედიტის** საქმეთა მთავარმა სამართველომ ნება დართო ტფ. მაზრის სოფელ **დიღომში** და გორის მაზრის სოფელ **დირბში** წვრილი საკრედიტო ამხანაგობანი დააარსონ.

✦ ქალაქის გამგეობამ ქალაქის მოურავის დაბრუნებამდე გადასდო საკითხი სარევიზიო კომისიის მდივნად ნ. ვ. კუშნირის დამტკიცების შესახებ.

✦ **წესიერი დასვენება.** ტფ. გუბერნატორმა თანახმად ქალაქის საბჭოს დადგენილებისა გააუქმა ახალ სავალდებულო წესების მე-5, 6 და 16 მუხლები.

✦ ოთხშაბათს, 22 აგვისტოს, დაასაფლავეს მასწავლებელი პერიკლ მიხეილის ძე კორხანიდი. დაგრძალვის დროს ბერძნული და რუსული სიტყვები წარმოსთქვეს: ტფილისის ბერძენთა საქველმოქმედო საზოგადოების წარმომადგენელმა ა. ხ. სინგარევსმა, ტფილისის ბერძენთა დრამატიულ ჯგუფის წარმომადგენელმა პ. გ. ბასტიანოვმა, ყარსის ბერძენთა მხრივ ვექილმა ფედოროვმა, ტფილისის ბერძნების მხრივ ნ. კუწუბოვმა, ტფილისის მასწავლებელთა მხრივ—კოლესნიკოვმა, ალავერდის ბერძნების მხრივ მღვდელმა კორხანიდიმ, ტფილისის საქალაქო სასწავლებლების მხრივ მოწაფე შიშკინმა და მასწავლებელმა რატიშვილმა ტფილისის საკომერციო სასწავლებლის მხრივ. ცხედრის კუბო შემკობილი იყო გვირგვინებით. დაკრძალვას ბლომა ხალხი დაესწრო.

✦ **თიანეთი. სოფ. ყვარელწყალში** (პანკისის ხეობა) მუცელა მძვინვარებს.

✦ 21 აგვისტოს, ნაშუადღევის 2 საათზე, ტფ. მოქალაქემ ალექსანდრე ალექსანდრეს ძე მირონისმა თავის მოკვლის განზრახვით საწამლავი დალია. მოწამლული მიხეილის საავადმყოფოში წაიყვანეს.

✦ მტკვარში იპოვეს გვამები ჯარის კაცისა ანდრია ანდრიას ძის ზევჩინისა და შორაპნის მაზრის მცხოვრებ მინა გელაშვილისა.

✦ **დედის ტრაგედია.** 21 აგვისტოს საადრესო სტოლის სადგომში ვიღაც უცნობმა ბავში დასტოვა—5 წლის ბიჭი. მასთან წერილიც იყო ტფ. პოლიცმეისტრის სახელობაზე. წერილში ეწერა: „გთხოვ მიიღოთ ბავშვი, რომელიც მივატოვე ჩემის უბედურისა და უიმედო მდგომარეობის გამო. ვზარდე, რაც შემეძლო. ჰქვიან მიხეილი. მონათლულია ასტრახანში, მიძინების ეკლესიაში მე კი თავს მოვიკლავ ჩემს დედმამის თვალთ წინა. ბავშვის გვარია-პუჩკოვი".

✦ რედაქციამ მიიღო **გიგო ხეჩუაშვილის** ახალი მოთხრობა **„ჩალაანთ მიხაკა"**. წიგნი თექვსმეტგვერდიანია, სუფთად არის გამოცემული და ერთი შაური ღირს.

✦ ნაძალადევში, პარკის ქუჩაზე № 31 სცხოვრობს მარტოხელა ქვრივი **ტერეზია ბეჟანის ასული როთველიშვილისა,** სამ მცირე წლოვან შვილით, იგი დიდ გაჭირვებაშია ნივთიერად, რის გამოც გუბერნატორმა ნება დართო გაზეთის საშუალებით გულმოწყალე ადამიანებს მ ჰმართოს დახმარებისთვის, იმედია მადლიანი ხელი დახმარებას გაუწევს ამ უმწეო ოჯახს. ყოველივე შეწირულება უნდა გაიგზავნოს ზემოხსენებულ მისამართით.

✦ **უბედური შემთხვევა.** 22 აგვისტოს ტელეგრაფნი ქუჩაზე მცხოვრები ნინო ივანეს ასული თუმანოვი, 19 წლისა, თავის ქმრის რევოლვერს სინჯავდა, უცებ რევოლვერი გაუვარდა და ტყვია მისის ძმის ცოლს ელისაბედ პლატონის ასულ ბუხრაძეს მუცელში მოხვდა. დაჭრილი მიხეილის საავადმყოფოში წაიყვანეს. ჭრილობა საშიშია.

✦ **შეიპყრეს** ტფილისის მცხოვრები კონსტანტინე გიორგის-ძე გეგეჭკორი, რომელიც 1905 წლიდან სამხედრო ბეგარას ემალებოდა.

✦ 22 აგვისტოს ტფილისში 40 უპასპორტო შეიპყრეს.

საზოგადოებანი და კრებები

✦ **სახალხო უნივერსიტეტის** გამგეობის კრება მოხდება დღეს, საღამოს 8 საათზე, კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების შენობაში. გამგეობა, სხვათა შორის, გადასწყვეტს საკითხს: როდის იქმნეს მოწვეული საზოგადოების წევრთა კრება.

თელავი

✦ **პატიმრის გვამის მოპარვა.** კუჭის ავადმყოფობით გარდაცვლილი პატიმარი არეშიძე აქაურს სასაფლაოზე დაკრძალეს. სამის დღის შემდეგ გამოირკვა, რომ მიცვალებული მოეპარათ. აღმოჩნდა, რომ მიცვალებული აქედან ამოუღიათ და სოფ. ზემოხოდაშენში დაუსაფლავებიათ ნესტორ ახვლედიანს, ალექსანდრე ჩანგაშვილს, ზაქარია დათუნიშვილს და თედო ჯავახიშვილს.

ბორჩალო

✦ სოფ. ჯან-ახმედლოს მახლობლად ჭაში იპოვეს ამას წინად უკვალოდ დაკარგულ აბდულას გვამი.

შეცდომის გასწორება.

გუშინდელ დაბეჭდილ წერილში **„ხაშურის პროგიმნაზიის გარშემო შეცდომითაა დაბეჭდილი"**: „და მოწაფეთათვის კვიტანციებიც არ ჰქონდა მიეცა". **უნდა იყოს: „და მოწაფეთათვის ქვიტანციებიც არ მიეცა".**

გრ. რობაქიძის წერილში—**ბარათები** (სახ. გაზ. № 679) **შეცდომითაა** დაბეჭდილი: „ლემიური მეფექალი" **უნდა იყოს: „ღვთიური მეფე-ქალი".**

ქუთაისის ამ-ბარბი.

უიმედო ცნობები მოდის სოფლიდან მოსავალს ნაკლები პირი უჩანს. ხშირმა წვიმებმა, განსაკუთრებით ქვემო იმერეთში, ოდიშსა და გურიაში უდიერად გაზარდა სიმინდი, დააყვითლა და ტარო არსად ჩანსო; აგვისტოს მიწურულებში საჭმელი სიმინდიც არ იშოვება. თურმე ნაადრევად დათესილი სიმინდი არაფერ ნაყოფს არ მოიტანს, ხოლო ხაგვიანევმა, თუ შემოდგომის სიცივემ ვერ უსწრო, შეიძლება მიწის მუშას რამ დაანახოს.

გამუდმებულმა ზაფხულის წვიმებმა ნება არ მისცეს მუშას ვენახში მილდიუსათვის და ნაცრისათვის ეწამლა და ვინც უწამლა, წვიმამ მყისვე ჩამორეცხა, ამიტომ იშვიათად ნახავთ თურმე ისეთ ვენახს, რომ გაფუჭებული არ იყოს, მიუხედივად იმისა, რომ სხმით კარგად ასხია. გარდა ამისა, რომ ასეთი ვენახის ყურძენი უმეტესად წახდება, წაუხდარი ყურძნის ღვინო მდარე ხარისხისა იქნება.

ამავე მდგომარეობაშია ამბაც, რომელმაც დიდი ტანი აიყარა და პარკი არსად სჩანს თურმე.

* *

ქუთაისში უკვე გაჩნდნენ სწავლის მწყურველნი და მათი **მშობლები,** რომლებსაც შვილები მოუმზადებიათ საშუალო თუ დაბალ სასწავლებლებში და ვაკანსიას ვერსად შოულობენ. ერთ [illegible] 10 და 15 [illegible] საგონებელში იმყოფებიან.

ბიბლიოთეკა

* *

ქუთაისის გიმნაზიაში დიდი ცვლილება მოხდა: გარდა დირექტორისა და ინსპექტორისა, ოთხი მასწავლებელი გადაიყვანეს სხვა სასწავლებლებში. ცნობილ იურკევსკის ავი დრო დაუდგა—მთავრობამ წინადადება მისცა თურმე- ან სამსახურს თავი დაანებე, ან დერბენტს გადაგიყვანთ შტატ გარეშე მასწავლებლადაო. წინადადება როგორც ხედავთ, არც ერთი მხრით ხელ საყრელი არ არის და ამიტომ ბ-მა იურკევსკიმ ჯერ ქართულ გიმნაზიაში მოინდომა მოკალათება, მერე მკურნალის სასწავლებლის უფროსობა ითხოვა და ესეც რომ არ გაუვიდა, ეხლა თურმე სამსახურიდან გასვლას აპირებს. დიდი ვნებე მოუტანა მან თავის ხანგრძლივ სამსახურის დროს ქუთაისს.

* *

ჯერ განსვენებული კოტე ბაქრაძე დასაფლავებული არ იყო, რომ ქალაქის გამგეობაში მის ადგილზე კანდიდატებს ასახელებდენ. ასეთი ქუთათურის სულის კვეთება—მას გულ-გრილად ვერ შეუძლიან აიტანოს თავისუფალი—უთუოდ კანდიდატი უნდა მოსძებნოს. დასახელებული კანდიდატი მრავალია: გრ. გველესიანი, ივ. ავსარქისოვი, ექიმი ნასარიძე, ევ. ქუშაფელაძე, დავ. მღე-ვანი და რამდენიმე კიდევ სხვა, ვინ დაიჭერს ამ ადგილს ჯერ თქმა შეუძლებელია, მით უმეტეს ამ ჟამად ქალაქის საბჭოს მოქმედება შეწყვეტილია და ენკენისთვემდე არაფერია მოსალოდნელი.

კეს.

„იღუპება ივერიის ეკლესია"

ამ სათაურით „ს.-პეტ. ვედომოსტში" დაბეჭდილია ცნობილ ნ. დურნოვოს წერილი. მოგვყავს უცვლელად:

„იმერეთიდან გვწერენ შემდეგს":

„ივერიის ეკლესია სულით და ხორციით დაძაბუნებულია. ძველის ღვთის მოყვარეობისა, ქართველთა მართლმადიდებლობისა ეხლა მხოლოდ აჩრდილი და დარჩენილა. განსაკუთრებით ეს აღმოსავლეთ საქართველოზე ითქმის. აქ ხალხი სრულიად მიგდებულია, არქიელი ვერც კი ნახულობს, არ იცის სად არის იგი, ან რას აკეთებს; აქ მღვდლები, მოკლებულნი არიან რა არქიელის ზედამხედველობასა, უბრალო მღვდელთ-მსახურების აღმასრულებლად გადაქცეულან, თავის წინამ-

---

გარეული იხვი

ჰენრიკ იბსენისა.

დრამა ხუთ მოქმედებად.

(შემდეგი *)

გინა. რას ამბობ!

ქ-ნი სიორ. (გრეგერს, უგულოდ). მოკითხვა გადმოგცათ.

ჰიალმ. კომერსანტი ვერლე წავიდა? ძაშ თქვენც იმასთან წარძანდებით?

ქ-ნი სიორ. ამის წინააღმდეგ რა გაქვთ, ბ-ნო ეკდალ?

ჰიალმ. გეტყვით მხოლოდ ერთს —ფრთხილად იყავით.

გრეგ. მე აგიხსნი საქმე რაშია,—მამაჩემი ირთავს ქ-ნ სიორბუს.

ჰიალმ. ირთავს?

გინა. ბოლოს, ძლივს, ბერტა!

რელ. (ხმის კანკალით). არა, ეს ხომ მართალი არ არის.

ქ-ნი სიორ. დიაღ, ძვირფასო ბ-ნო რელლინგ, მართალია.

რელ. და თქვენ ერთხელ კიდევ თხოვდებით?

ქ-ნი სიორ. ვერლემ უკვე მიიღო კორწინების ნებართვა და ჩვენ წყნარად ვიდღესასწაულებთ ჩვენს კორწილს მთებში.

გრეგ. მაშ ნება მიბოძეთ მე, როგორც კეთილს გერს, ბედნიერება გისურვოთ.

ქ-ნი სიორ. გმადლობთ, თუ მაგას გულ-წრფელად ამბობთ. იმედი მაქვს, ამ შეუღლებით ჩვენ ორნივე ბედნიერებასა ვპოვებთ: მეცა და ბ-ნი ვერლეც.

რელ. მაგაში შეგიძლიანთ სრულიად დარწმუნებული ბრძანდებოდეთ. რამდენადაც ვიცი კომერსანტი ვერლე არა ლოთობს და არც ხასიათათა სჭირს თავისი ცოლების გატყება, როგორც განსვენებულს ბეითალს.

ქ-ნი სიორ. თავი დაანებეთ სიორბუს. იმასაც თავისი ღირსებანი ჰქონდა.

რელ. მაგრამ კომერსანტ ვერლეს, რასაკვირველია, უფრო მეტი ღირსებანი აქვს.

ქ-ნი სიორ. ყოველ შემთხვევაში ყველაზე ძვირფასი იმას არ დაუღუპნია.

რელ. ამაღამ მე და მოლვიკი ვიქეიფებთ!

ქ-ნი სიორ. მაგას ნუ იზამთ, ბ-ნო რელლინნ, ჩემი გულისთვის!

რელ. არა, უმაგისოდ არაფერი გამოვა. (ჰიალმარს). თუ ჩვენთან წამოსვლას მოინდომებ, მოდი.

გინა. არა, დიდადა გმადლობთ, ჰიალმარი თქვენი ამხანაგი არ არის ქეიფის დროს.

ჰიალ. (ხმა დაბლა, გაჯავრებით). გაჩუმდი!

რელ. მაქვს პატივი გამოგეთხოვოთ, ქ-ნო ვერლე. (ისა და ჰიალმარი ტალანში გავლენ).

გრეგ. (ქ-ნ სიორბუს). გეტყობათ თქვენ და ექიმ რელლინგს საკმაოდ ახლო გცნობიათ ერთმანეთი?

ქ-ნი სიორ. ჰო, დიდიხანია ჩვენ ერთმანეთს ვიცნობთ. შესაძლოც იყო ჩვენ შუა რამე მომხდარიყო.

გრეგ. თქვენი ბედი, რომ არაფერი მოხდა.

ქ-ნი სიორ. ჰო, თქვენ მართალი ხართ. მაგრამ მე ყოველთვის ფრთხილად ვიყავი ხოლმე. არ შეიძლება ქალი წინდაუხედავად მოიქცეს მაგგვარ საქმეში.

გრეგ. მერე, რომ მამას გადავცემ, ამ თქვენს ძველს ნაცნობობას?

ქ-ნი სიორ. წარმოიდგინეთ, მე თქვენზე ადრე ვუთხარი ყველაფერი!

გრეგ. ჰო?

ქ-ნი სიორ. მამათქვენმა უკანასკნელ წვრიმალამდის იცის ყველაფერი, რის შესახებაც ჩემზე ცოტაოდენი უფლებით შეუძლიანთ ილაპარაკონ. მე იმას ყველაფერი უამბე იმ წუთში, როცა თავისი განზრახვა შემატყობინა.

გრეგ. გეტყობათ, არა ჩვეულებრივი გულახდილი ყოფილხართ.

ქ-ნი სიორ. მე ყოველთვის გულახდილი ვიყავი, ამითი ქალები უფრო იგებენ.

ჰიალ. შენ რაღას იტყვი ამაზე, გინა?

გინა. ყველა ქალი ხომ ერთნაირი არ არის: ერთი ასე იქცევა, მეორე სხვანაირად.

ქ-ნი სიორ. არა, გინა, ჩემი აზრით ამნაირი ქცევა სჯობიან. ვერლესაც არაფერი არ დაუმალია თავისი წარსულიდან, რამაც ჩვენ უფრო მომეტებულად დაგვაახლოვა. იმას შეუძლიან ჩემთან სრულიად გულ-წრფელად ილაპარაკოს, როგორც უმანკო ბავშვმა. წინად კი ეს იმას არ შეეძლო. ვერლეს, ისეთს საღსა და ცოცხალ ადამიანს, თავისი სიცოცხლის საუკეთესო წლებში, სიყმაწვილის დროს, მხოლოდ ქადაგება და საყვედური ესმოდა. და რამდენადაც შემიძლიან განვსაჯო, ამ საყვედურს არა ერთხელ იწვევდა სრულიად უსაფუძვლო მიზეზი, მხოლოდ იჭვიანობა და ავადმყოფური წარმოდგენა.

გინა. რაც მართალია, მართალია!

გრეგ. თუ აქ ამგვარი საიდუმლო ლაპარაკია, სჯობს ისევ მე წავიდე.

ქ-ნი სიორ. შეგიძლიანთ მშვიდად დარჩეთ. მე ხმას აღარ ამოვიღებ, მხოლოდ თქვენთვის მინდოდა მეუწყებინა, რომ სიცრუისა და ხერხის დაუხმარებლად, გულ-ახდით ვმოქმედობდი. რასაკვირველია, ყველა ფიქრობს, რომ ეს ჩემთვის დიდი ბედნიერებაა. ზოგიერთ შემთხვევაში ეს ასეც არის. მაგრამ, ვგონებ მაინც, რომ იმაზე მეტს არ ვიღებ, რასაც ვაძლევ. რასაკვირველია, მე ვერლეს თავს არასოდეს არ დავანებებ, მოვუვლი და ვუშველი, როგორც არავინ. მით უმეტეს ეხლა, როცა მისთვის აუცილებელი შეიქმნება ადამიანის დახმარება.

ჰიალ. ეგ რაში დასჭირდება ადამიანის დახმარება?

გრეგ. (ქ-ნ სიორბუს). მაგის მიზეს აქ ნუ იტყვით.

ქ-ნ სიორ. ეხლა დასამალი აღარაფერია: ჩქარა ის სრულიად დაუსინათლოვდება.

ჰიალმ. მართლა? რა საოცარია, ისიც...

გინა. ბევრნი კი ბრმავდებიან.

ქ-ნ სიორ. შეგიძლიანთ, წარმოიდგინოთ, რა შედეგი ექნება მაგას საქმის კაცისათვის. რასაკვირველია, ვეცდები რამდენადაც შემიძლიან თვალების მაგიერობა გავუწიო. მართლა, მე აღარა მცალიან, იმდენი საქმე მაქვს ეხლა, აი კიდევ რა: თუ, ბ. ეკდალ, რამე დაგჭირდებათ ვერლესაგან, საკმარისი იქნება გრობერგს მიმართოთ და...

გრეგ. არა მგონი ჰიალმარ, ეკდალმა მაგ წინადადებისთვის მადლობა გითხრათ.

ქ-ნ სიორ. ჰო? აქამდის, ვგონებ...

გინა. ჰო, ბერტა, ეხლა ეკდალს ბ. ვერლესაგან აღარაფერი უნდა.

ჰიალმ. (ნელა და მკაფიოდ). კეთილ ინებეთ, გარდაეცით ჩემი მოკითხვა თქვენს მომავალს მეუღლეს და უთხარით, რომ მე ვაპირობ მახლობელ მომავალში შევიარო ბუხჰალტერ გრობერგთან.

გრეგ. როგორ? შენ აპირობ...

ჰიალმ. შევიარო ბუხჰალტერ გრობერგთან და მოვთხოვო მას იმის პატრონთან მთლად ჩემი ვალის ანგარიშის ფურცელი. მე გარდავიხდი ამ პატიოსნების ვალს, ხა-ხა-ხა! აი მართლაც პატიოსნების ვალი! მაგრამ ამაზედ კმარა. მე მივცემ იმას მთელს ვალს და ხუთს პროცენტს სარგებელს.

გინა. მერე ძვირფასო ეკდალ, ჩვენ ხომ, ღმერთმა იცის, მაგდენი ფული არა გვაქვს.

ჰიალმ. გარდაეცით თქვენს საქმროს, რომ მე შეუსვენებლივ ვმუშაობ ჩემს გამოგონებაზე. უთხარით კიდევ, რომ მხოლოდ სურვილი ამ უსიამოვნო ვალის ჩქარა გადახდისა მე ღონეს მაძლევს განვაგრძო ჩემი ძალ-მომწყვეტი სამუშაო. აი რად ვოცნებობ გამოგონებაზე. მთლად იქიდან შემოსულ ფულს მხოლოდ მას მოვახმარ, რომ განვთავისუფლდე თქვენ მომავალი მეუღლის მოვალეობიდან.

ქ-ნი სიორ. აქ რაღაც მომხდარა.

ჰიალ. დიაღ, თქვენ მიხვდით.

ქ-ნი სიორ. აბა ნახვამდის. კიდევ ბევრი რამ მინდოდა მეთქვა შენთვის, გინა, მაგრამ საკვლაოდ იყოს. ნახვამდის. (ჰიალმარი და გრეგერსი ჩუმად უკრავენ თავსა. გინა კარებამდე აცილებს).

ჰიალ. გინა, კარებს არ გასცდები შენა. (ქ-ნი სიორბუ მიდის. გინა კარებსა ხურავს). აი, ჰხედავ, გრეგერს, ეხლა მე ამ მძიმე ტვირთიდან განვთავისუფლდი.

გრეგ. ყოველ შემთხვევაში ძალიან ჩქარა.

ჰიალ. მგონი შეიძლება ჩემს საქციელს კანონიერი ვუწოდოთ?

გრეგ. შენ ისეთი ხარ, როგორადაც გთვლიდი.

ჰიალ. ზოგიერთ შემთხვევაში არ შეიძლება უარვყოთ იდეალური მოთხოვნილებანი, ამიტომ, რომ ამავე დროს ოჯახის მარჩენელად დავრჩე მე მომიხდება ყოფნა ამ სიმძიმის ქვეშ, რომელიც უკვე მოფენილია დავიწყების მტვრითა. მაგრამ ეგ სულ ერთია. ჩემშიაც წამოაყენებს ხოლმე თავისს უფლებებს ადამიანი.

გრეგ. (მხარზე ხელს დაადებს) მაშ კარგია, ჰიალმარ, მე რომ მოვედი?

ჰიალ. ჰო.

გრეგ. განა კარგი არ არის, რომ სრული სიმართლე გაიგე?

ჰიალ. (ცოტა მოუთმენლად). რასაკვირველია, კარგია. მხოლოდ ერთი რამ აშფოთებს ჩემს სიმართლის გრძნობას...

გრეგ. რა?

ჰიალ. ის რომ... არ ვიცი, შემიძლიან თუ არა მამაშენზე გულ-ახდილად ლაპარაკი.

გრეგ. სრული უფლება გაქვს.

ჰიალმ. მაშ გეტყვი, ჰხედავ ახლა, ყველაზე ცუდი ის არის, რომ მე კი არა, იმან განახორციელა ეხლა იდეალური კორწინება.

გრეგ. როგორ, რას ამბობ?

ჰიალ. მართალს გეუბნები. მამაშენი და ქ-ნი სიორბუ ეხლა შეუღლდებიან იმ კორწინებით, რომელიც დამყარებული იქმნება ერთმანეთის სრულ ნდობაზედ, დამყარებული იქმნება სურლ და აუცილებელ გულ-ახდილობაზედ ორივე მხრივ. ისინი ერთმანეთს არაფერს უმალავენ, იმათ შეთანხმებაში არაფერია გამოუთქმელი, იმათ, თუ შეიძლება ესე ითქვას, ერთმანეთს აპატიეს თავიანთი შეცოდებანი.

გრეგ. მერე მანდედან რა გამოგყავს?

ჰიალ. ეს ნიშნავს, რომ იმათ შექმნეს სრული ჰარმონია. შენ ხომ თითონ ამბობ, რომ ყველა ეს საჭიროა იდეალურ შეუღლებისათვისათ.

გრეგ. ეგ სულ სხვაა, ჰიალმარ. შენს თავს ხომ იმათ არ შეადარებ, ხომ გესმის ესა.

ჰიალ. მე მაინც ვერ გავნთავისუფლებულვარ იმ გრძნობიდან, რომ ყველა იმაში არის რაღაც, რაც შეურაცხ-ჰყოფს ჩემს სიმართლის გრძნობას. ეს ხომ ისე გამოდის, თითქოს ქვეყნად სიმართლე არც კი არსებობსო.

გინა. ფუ, ეკდალ! შენ უფლება არა გაქვს ეგრე ილაპარაკო.

გრეგ. ისევ თავი დავანებოთ ამ საკითხს,

ჰიალ. მეორე მხრით, თითქოს მაინც განგება სჩანს: ისა ბრმავდება

---

*) იხ. „სახ. გაზეთი" № 681.

ძღოლების შემყურე ხალხმა თავი გაანება ეკლესიაში სიარულს და მღვდლებს მხოლოდ მაშინ მიჰმართავენ ხოლმე, როდესაც რაიმე მღვდელთ-მსახურების ასრულება დასჭირდებათ და რომელთა მნიშვნელობა არც კი ესმით და მისდევენ მხოლოდ ადათ-ჩვეულებას, რადგანაც ასე სჩადიოდნენ მამა-პაპანი...

გარდა ამისა, მთელ საქართველოს ეკლესიებში დიდი ნაკლებლობაა საღმრთო წიგნებისა: უბრალო კურთხევანიც არ მოიპოვებათ, რომ მღვდლებმა წესი სწორედ აღასრულონ. არავინ დაიჯერებს, რომ ზოგი მღვდელნი წესს ასრულებენ საკუთარი ხელით გადაწერილ კურთხევნის მიხედვით ეს კი ფაქტია და საქართველოს ეგზარხოსმაც კარგად იცის. იმერეთის ეპისკოპოსმა ყოვლად სამღვდელო გიორგიმ, სასულიერო მოღვაწეთა შუამდგომლობის გამო, სასინოდო კანტორას სთხოვა: ნება მომეცით კურთხევანი ნაწილ-ნაწილ, ბროშიურებად გამოვცე გასასყიდად, ვიდრე მოსკოვში დაათავებდნენ შემსწორებელ კომისიის მიერ ახლად გამომცხვარ კურთხევნის დაბეჭდვასაო. ყოვლად სამღვდელოს უარი უთხრეს, ვითომც იმის გამო, რომ შეიძლება შეცდომები შეიპაროსო (მოსკოვის გამოცემაში კი არ იქნება?!)...

იმავ ყოვლად სამღვდელომ განიზრახა ქართულად გამოეცა საღმრთო წიგნი: დიდმარხვის პირველისა და უკანასკნელი კვირის წესრიგი, რომელიც იქნებოდა სასინოდო კანტორის მიერ სლავიანურად გამოცემულ წიგნისავე მსგავსი, ეს ამბავი კანტორას აცნობა, მაგრამ ეგზარხოსმა დეპეშით გააფრთხილა გაბედული ყოვლად სამღვდელო-მაგისთანებს თავი დაანებეთ, საღმრთო წიგნთა გამოცემა-უწმ. სინოდის საქმეაო.

ბევრს, ეგზარხოსის ასეთი საქციელი ისე ესმის რომ რუსიფიკატორებს ჰსურთ მღვდლებს წესი სლავიანურად აღასრულებინონო. არ ვიცით, მართლა ასეა თუ არა, მაგრამ ის კი ნამდვილია, რომ ეკლესიებში სამღვდელ-მსახურო წიგნები არ მოიპოვება.

მოგზაურობა სოფლად

(გაგრძელება *)

სწავლა-განათლებას, რასაკვირველია, მოკლებულნი არიან და წიგნის მცოდნენი იშვიათად მოიპოვებიან. ღამის ათს საათზე **სოფელ ავნევში** ვიყავით. ავიარეთ აღმართი, რომელსაც სახელად **კიბრავას** უძახიან და ცხინვალის გზას დავადექით. იმედი გვქონდა ორი-სამი საათის შემდეგ ცხინვალში ვიქნებოდით, მაგრამ... ჩვენ რომ ვჭკობდით, ბედი თურმე იცინოდა.

* იხ. „სახ. გაზ." № 678.

გზიდან გადაგვეხვია და ცხინვალის მაგიერ **ხვითის** პირდაპირ ტრიალს მინდორზე ამოვყავით თავი. ორნი ვიყავით აქეთ ნამყოფნი, მივხვდით, —ცხინვალი აქეთ არ უნდა ყოფილიყო. აქეთ მოვდექით, იქით მივდექით, რას გავაწყობდით. უმთვარო ღამე იყო, მხოლოდ ხნულები გვხვდებოდა წინ. თითქოს განგებ სანათის შუქიც არსაიდან მოსჩანდა, რომ იქ მივსულიყავით, გაგვეთია ღამე მალეის გზაც დავკარგეთ, საიდანაც მივედით. ავვებნა თავ-გზა. ზოგი ირწმუნებოდა დასავლეთის მხრიდან მივედითო, ზოგი ჩრდილოეთის, ზოგი აღმოსავლეთის მხრიდანაო. ჩვენმა მოხუცმა მეურმემ ხომ ქართლის გეოგრაფია მთლად შეცვალა—გორი ჯავისკენ გადასვა, ჯავა გორის ალაგას წამოასკუპა და თავის უღელ ხარზე გვენაძლევებოდა-ცხინვალი აქვეა, ორ ნაბიჯზეო და დასავლეთისკენ იშვერდა ხელს, თუმცა ორნი ვირწმუნებოდით, რომ ცხინვალი ჩრდილო-აღმოსავლეთისკენ დაგვრჩა. კიდევ შევეცადეთ განგვეგრძო გზა. მალ-მალ შევტოპავდით ნარეკალის ბუჩქებში, გვეკარგებოდა კენჭები, იყო ლანძღვა, ხუმრობა, სიცილ-ხარხარი. საქონელი მოიღალა. მეტი ჩარა აღარ იყო აქ უნდა გაგვეთია ღამე. გავჩერდით, გამოვუშვით ხარები. ღიღინით მოგვესალმა გრილი ნიავი, აკანკალა ზოგიერთნი, რომელნიც მსუბუქად იყვნენ ჩაცმული. ჩვენდა საბედნიეროდ იქვე ახლოს ბულული ვიპოვეთ, ახლა კი აღარა გვიშავდარა. თბილი საწოლი მზად იყო. გამოვშალეთ ბულული, შევძვერით შიგ, ზევიდგანაც ყანა წავიფარეთ. სასაცილო სანახავი იყო—ბულულს ზემოდან ჩვენი თავები ღა მოსჩანდა. საწოლი ხომ უზრუნველი იყო, ახლა წყლის საკითხი წამოგვეჭიმა წინ. მაგრამ... ტრიალს მინდორში ჩვენთვის წყალს არავინ გამოიყვანდა. ეს კია, რომ მთელი ღამე სიზმარში ყველანი წყალსა ვხედავდით... როგორც იქნა ირაჟრაჟა. მყუდროება დაარღვია საუცხოვო „ურმულმა", ცაში გაისმა ტოროლას ტკბილი ჰანგები. სიცილით ჩავძვერით, სიცილითვე ამოვძვერით ჩვენი თბილ სოროებიდან. ხუთი საათი იყო. შორიდან მოსჩანდა ზემო-ნიქოზის ეკლესიის გუმბათი. მადლობა ვუძღვენით ბულულის უცნობ პატრონს, და ნიქოზისკენ გავწიეთ.

ამომავალმა მზემ წითლად შეღება შემწვანებულ მთების კალთები, აჭიკჭიკა ფრთოსანნი ცისა, ნელმა სიომ ნაზად შეარხია ობლად მდგარ მუხის ამაყი კენწერო, თითქოს ეუბნება—რას ჩაფიქრებულხარ, გაიღვიძე, დრო იწყება შვებისა, სიცოცხლისაო, ბუნების გამოცოცხლება-სილამაზეს ჰარმონიულად შეეწყო გლეხის მხიარული „ოროველა" კალოზე...

მივედით **ზემო-ნიქოზში.** ტაძარი გავაღებინეთ, დავათვალიერეთ. ეს ტაძარი ერთი უძველესი ნაშთთაგანია. აგებულია იგი მეხუთე საუკუნეში ვახტანგ გორგასლანის მიერ. სამხრეთის შესავალთან „ბალდახინის" ქვეშ მოთავსებულია საკათალიკოსო საჯდომი. აქვე აყუდია კათოლიკოსის კვერთხი, არწივი და სპილენძის პატარა სურა. ათასნაირი მწარე ფიქრები აღგვეძრა ამის დანახვაზე. ნუთუ ყველგან ასე ვინახავთ სისტორიო ნივთებს? არწივი მტვერს შეუჭამია და უეჭველია ხამი მსახური რომ შეგზავნონ ეკლესიის დასაგველად, პირველად ამას გადმოაგდებს გარედ, როგორც უვარგისს ფალასს. ვაი, რა წარსულის, რა წინაპართ პატრონნი ვართ და ჩვენ კი როგორ დავპატარავებულვართ, დავკნინებულვართ, ჩავფლულვართ პირად ცხოვრების, გულგრილობის მორევში!!!...

აქაც ტრაპეზის მარჯვნივ მოთავსებულია სადიაკნო, მარცხნივ სამკვეთრო. მხატვრობა აღარაფერი ეტყობა, კედლები, კამარა თეთრად გაულესიათ. აქაც კამარა ალაგ-ალაგ დაზიანებულა და წვეთი ჩამოდის... რის მეტყველია ესა?.. ტაძარს გარედან რამდენიმე ჩუქურთმა აქვს ჩატანებული. სამწუხაროდ გალავნის ერთი ნაწილი (ძველი ნანგრევი) ფეხის ადგილად გადაუქცევიათ, ცოდვაა სხვა არა იყვესრა წმიდა ადგილის ასეთ სიბინძურის ალაგად გადაქცევა. რას აკეთებს ადგილობრივი მღვდელი? იქნება არ იცის რა ხდება მისდამი რწმუნებულ ეკლესიასთან ორს ნაბიჯზე, იქვე, გალავანში? თუ სიწმინდეს არას აგდებთ, ზრდილობა მაინც საჭიროა.—ვინც მოდის ტაძრის დასათვალიერებლად, სხვათა შორის აქაც ხვდება.

აქედან უკანასკნელი წერილობითი სალამი უძღვენით ბ. კ. მ. ამირეჯიბს ავლევში, გავისტუმრეთ უკან მეურმე, ცხინვალისკენ გავწიეთ. **ცხინვალში** მივედით. 4—5 წლის შემდეგ დიდი ცვლილება არ ეტყობა ცხინვალს. ისევ ის ჭუჭყიანი ქუჩები, მეტადრე ებრაელთა უბანში, ისევ ის ჭიჭყინ-ჭრიამული, როგორიც იყო წინად. ეს არის ცოტაოდენი ახალი შენობები მოჰმატებია და დიდს ლიახვზე ხის მაგიერ „ბეტონის" ხიდი გადაუდგამთ. განათლების მხრივაც დიდი ნაბიჯი არ გადაუდგავს წინ. მოჰმატებია პირველდაწყებითი სკოლა, სამაგიეროდ დიდიხნის სულთბრძოლის შემდეგ თქვენი ჭირი წაუღია ბიბლიოთეკა-სამკითხველოს... სამკითხველოს მეთქი, არა, ეს უკანასკნელი, ამბობენ ჯერ ისევ ცოცხალიაო, თუმცა სიცოცხლის ნიშანწყალი აღარა სდევსო. იგი თეატრში მოუთავსებიათ, სცენის ერთ კუნჭულში. გამოტეხით უნდა სთქვას კაცმა ჩვენ ვერ მივხვდით თუ ეს სამკითხველო იყო სხვას რომ არ განემარტა. სამიოდ დახეული გაზეთი ეგდო მაგიდაზე. ნუ განგვირისხდებიან ცხინვალის მოჭირისუფლენი, რომ ასე გულახდითა ვწერთ. შეიძლება ვცდებოდეთ, კვირა დღე იყო და იქნება დუქნ მალაზიასთან ერთად სამკითხველოც დაკეტილი იყო. მიღებულია ნაკლთან ერთად აღნიშნოს ღირსებაც. თუ ცხინვალელებს დაჰკლებიათ წიგნთსაცავი, სამაგიეროდ მოჰმატებიათ ისეთი რამ, რითაც თავი უნდა მოჰქონდეს ყოველს „განათლებულ" დაბა-ქალაქს. რა არის, მკითხველო, ეს ისეთი რამ? ვერ მიხვდი? გულუბრყვილო ყოფილხარ. ეს გახლავთ ფრიად „სასარგებლო საკულტურო დაწესებულება"—კლუბი. კლუბი ხომ მოგეხსენებათ რაც არის? ლოტო, ნარდი, ბაკარა... მიხვდით? ლოტოს თამაშში აქაური ინტელიგენტები თურმე კეკელა-ფეფელოებს არ ჩამოუვარდებიან. აქვე ჰპოვებენ შვებას ცხინვალის „მშვენიერი არსებანი". ხშირ-ხშირად იკრიბებიან თურმე და ტლინკავენ „ევროპიულ-აზიურად" ხმაწასულ გრამოფონზე...

ხანგანიძე.

მთავრობის განზრახული დეკლარაცია მე-4 სახელმ. სათათბიროში

მიუხედავად იმისა, რომ ბევრ უწყებას ჯერ კიდევ არ წარუდგენია კოკოვცევისთვის მის მიერ მოთხოვნილი ცნობანი მომავალ სათაბიროში შესატან კანონ-პროექტებისა, ზოგადი ხასიათი მთავრობის დეკლარაციისა, რომელსაც სათათბიროს პირველ სხდომაზე წაიკითხვენ, უკვე გამორკვეულია.

დეკლარაცია იწყება მე-3 სათათბიროს დახასიათებით ხარჯთ-აღრიცხვისა და კანონმდებლობის საქმეში. რადგანაც კოკოვცევი დიდ მნიშვნელობას აძლევს სათათბიროს მუშაობას, ამიტომ დეკლარაციაში ხაზგასმით იქნება აღნიშნული სათათბიროს მოღვაწეობა. შემდეგ მოხსენებული იქნება, რომ მთავრობა დაიმედებულია მე-4 სათათბიროსთანაც ნაყოფიერად იმუშაოს, როგორც მესამესთან. ბოლოს ჩამოთვლილი იქნება ყველა ის კანონ-პროექტი, რომელიც მთავრობას განუზრახავს სათათბიროში შესატანად.

დეკლარაციაში აღნიშნული იქნება აგრედვე, რომ მიუხედავად იმისა, რომ რუსეთის ფინანსიური ვითარება ძლიერ მტკიცეა, მთავრობა მოელის საკანონმდებლო დაწესებულებათაგან ისეთი კანონების შემოღებას, როგორიცაა მაგ. შემოსავლის კვალობაზე დადებული გადასახადი და საზოგადოდ გადასახადების სისტემის გაუმჯობესება.

ვაჭრობისა და მრეწველობის სამინისტრო შეიტანს კანონ-პროექტს სინდიკატებისა და სააქციო საზოგადოებისას.

შინაგან საქმეთა სფეროში მთავრობას განზრახვა აქვს შეიტანოს კანონ-პროექტი ერობის შემოღებისა პოლონეთსა, ციმბირსა და ჩრდილო-დასავლეთის სამ გუბერნიაში და აგრედვე რეფორმა საქალაქო დებულებისა და საერობო თვითმართველობისა. საკითხი პრესის კანონ-პროექტისა ჯერ გამოურკვეველია (უ. რ.)

მოწერილი ამბები

ს. ოფშკვითი (ქუთაისის მაზრა). ვაცნობებთ ნათესავთა და ნაცნობთ რომ დაბლა-ოფშკვითის ღვთისმშობლის ეკლესიის მრევლმა დავადგინეთ: 8 ენკენისთვეს, ღვთის მშობლობა აღარ ვიდღესასწაულოთ და ჩვენს ოჯახებში წვეულებანი აღარ გავმართოთ, რადგან მეტი წილი ჩვენგანნი, ამ გაჭირვებულ დროში, უაზრო და უმიზნო ხარჯის გამო, რომელსაც ყოველ ღვთისმშობლობას ვეწევით, ვალში ვვარდებით, მთელი წლის სარჩო ორ-სამ დღეში გვითავდება და წლითი-წლობამდე ვალების გადახდას უნდებით, რის გამოც სწავლა-განათლებით და ბევრი სხვა რამ საკეთილო საქმით უკან ვრჩებით, რაც არ შეეფერება ეხლანდელ ცხოვრების პირობებს.

სალვთისმშობლოდ დასახარჯ ფულის ნაწილს გადავდებთ მომავალ სკოლის სასარგებლოდ, რომლის გახსნაც დიდი ხანია გადაწყვეტილი გვაქვს, მაგრამ უსახსრობისა გამო ჯერჯერობით სისრულეში ვერ მოგვიყვანია. ამისათვის ვსთხოვთ პატივცემულ სტუმრებს, რომლებიც მეტი წილი დაუპატიჟებლად გვეწვევიან ხოლმე სალვთიმშობლოდ, ნუ მობრძანდებიან, რადგანაც მათს დასახვედრად და გასამასპინძლებლად არაფერი მზადება არ გვექნება და უხერხულ მდგომარეობაში ნურც ჩვენ ჩაგვაგდებენ და ნურც თითონ ჩავარდებიან.

ვთხოვთ ყველა ქართულ ჟურნალ-გაზეთებს გადაბეჭდონ ეს წერილი.

მრევლი.

გ. პეტროვის აზრი აზეფზე

„რუსკოე სლოვოს" 191 ნომერში დაბეჭდილია ცნობილ მწერლის გ. პეტროვის ფელეტონი, რომელიც ეხება ვ. ბურცევის აზეფთან შეხვედრას და უკანასკნელის ცოდვათა მონანიებას. გ. პეტროვს არა სჯერა იუდა-გამცემ აზეფის გულწრფელობა და ფელეტონს სათაურად აქვს „ნიანგი ცრემლებსა ღვრის".

მე პირადად არ ვიცნობდი აზეფს და ბურცევის სიტყვებით ვიცნობო. პირველად რომ გავიგე აზეფის გამცემლობის ამბავი, მისი ორპირობა, ვიფიქრე: შეიძლება აქ დოსტოევსკური იყოს რამე, შეიძლება დიდი მიზანი ჰქონდა აზეფსა და საშუალებას არ ერიდებოდა—მეთქი, მაგრამ იმედი გამიცრუვდაო. სრულიად შემთხვევით, ერთს გამოჩენილ პირს ველაპარაკე აზეფის ამბავზე. იგი ძალიან დაახლოებული იყო ამისთანა საქმეებთან და აზეფიც ენახა სამსახურის გამოო.

პეტროვს უკითხავს: როგორი კაცია აზეფიო, მართლა გენიოსი, რთული პიროვნება, და რკინის ხასიათის ადამიანიაო?

— რთული პიროვნება?—გასცინებია მობაასეს. ძალიან სადა და ცალმხრივია: გაიძვერა, გახლავთ. თავით ფეხთამდე გაიძვერაა.

„ოხრანკაში" ისეთი გულუბრყვილო ხალხი როდია, როგორიც აზეფის ნაამხანაგრები არიან. იდეის ხალხს, გმირებს, რასაკვირველია იქ ვერა ჰნახავთ, მაგრამ ძალიან გამოცდილი ხალხია; გარწმუნებთ, აზეფი იმ ხალხს დიდ ხანს ვერ მოატყუებდა. აზეფი კი არ ატყუებდა, აზეფი კი არ ატყუებდა, აზეფს ატყუებდნენ. აზეფი ერთ რასმე თხოულობდა მხოლოდ „ოხრანკისაგან"—ფულსა. აზეფი საზიზღრად ვაჭრობდა ყოველ გასაყიდ მსხვერპლის გამო. ყოველთვის თხოულობდა დიდის საქმის ჩაშლისათვის საჩუქარსა.

— სწორედ გული მტკიოდა, მიკვნესოდა, ადამიანის იდიოტობისა და უჭკუობას რო ვხედავდი, როდესაც ვისმენდი აზეფის ამხანაგების ლაპარაკს და იმას, თუ რა დემონად რთულ პიროვნებად და რევოლუციონერ-ტიტანად წარმოედგინათ იგი. აზეფი უბრალო გაიძვერა იყო, როგორც უწინაც მონების მყიდველ-გამყიდველნი ყოფილან და როგორც ეხლა „ცოცხალ საქონლით" მოვაჭრენი არიან. აზეფი თითონ შევიდა დამცველ პოლიციაში და აქა ჰყიდდა რევოლუციონერებსა და თავის პარტიულ ამხანაგებს. დამცველი პოლიცია მხოლოდ სარგებლობდა ამ გაიძვერასა და გამცემად დაბადებულ ადამიანს და რევოლუციონერებს, კი ამ, რომანტიკოსებსა და დიდ ბავშვებს, ეგონათ—ყველა საქმეებს გენიალი აზეფი აკეთებსო. ეხლა, როდესაც ახალს ველარავის გასცემს აზეფი, ძველებს მიჰყოფს ხელს—სამ წლამდე მაინც გამოიზოგავს.

ზემო ხსენებულ პირის სიტყვები გამართლდა და მართლაც სამი წლის

გინა. ვთქვათ ეგ კიდევ დანამდვილებით არავინ იცის.

ჰიალ. ეგ აუცილებელია. ჩვენ არ შეგვიძლიან ამაში ეჭვი შევიტანოთ, რადგანაც სწორედ აქ იხატება განგების სამართლიანი პასუხის გება. იმან ოდესღაც დააბრმავა მიმნდობი, გულ-წრფელი ქნილება.

გრეგერ. სამწუხაროდ იმან ბევრნი დააბრმავა.

ჰიალმ. ეხლა კი ჩნდება ულმობელი, გამოუცნობელი შურისძიება და ბ-ნ ვერლეს საკუთარ თვალებს ართმევს.

გინა. როგორ ამბობ მაგისთანა საზარელს რასმე! მე მთლად მაძრწოლებს.

ჰიალ. კარგია, ხანდისხან რომ კაცმა ცხოვრების ბნელ კუთხეებისკენაც ჩაიხედოს. (მხიარული სახით და მთლად გაწითლებული ედვიგი შემოდის ტალანიდგან შლიაპითა და პალტოთი).

გინა. დაბრუნდი კიდეცა?

ედვ. ჰო, მეტი სეირნობა აღარ მინდოდა. რომ ვბრუნდებოდი, კარებში შემხვდა... აბა, გამოიცანი, ვინა?

ჰიალმ. რასაკვირველია, ქ-ნი სიორბი;

ედვ. ჰო!

ჰიალ. (ოთახში დადის). ვიმედოვნებ, რომ ეს უკანასკნელად ნახე ისა. (პაუზა. ედვიგი დარცხვენილი უცქერის ხან ერთსა და ხან მეორეს, თითქოს უნდა იმათ გულში ნადები ამოიკითხოსო).

ედვ. (მიუახლოვდება, ალერსიანად). მამა!

ჰიალ. რა იყო, ედვიგ?

ედვ. ქ-ნმა სიორბიმ საჩუქარი მომიტანა!

ჰიალ. (შეჩერდება). შენ?

ედვ. ჰო, ხვალინდელი დღისთვის.

გინა. ბერტას ყოველთვის მოაქვს ხოლმე რამე უბრალო საჩუქარი ამ დღისთვის.

ჰიალმ. რა მოგიტანა?

ედვ. თქმა არ შეიძლება. ხვალ დილით უნდა დედამ, როცა მე ისევ ლოგინში მეძინება, ბალიშას ქვეშ ამომიდოს ჩუმად.

ჰიალ. ოჰ, სულ ეს რაღაც საიდუმლოები.

ედვ. არა, მამა, მაშ ნახე. დიდი წერილია. (პალტოს ჯიბიდგან წერილს ამოიღებს).

ჰიალ. წერილი?

ედვ. აი ძხოლოდ ეს წერილია. საჩუქარს ალბად მერე მოიტანს. შენ მხოლოდ იფიქრე, მამა, წერილი! მე ხომ ჯერ წერილი არ მიმიღია არასოდეს. ზედაც რომ აწერია: (კითხულობს) ედვიგს, ეკდალის ქალს. ეს ქალი ხომ მე ვარ, მამა, არა!

ჰიალ. მაჩვენე ეგ წერილი.

ედვ. აი, ნახე!

ჰიალ. კომერსანტ ვერლეს ხელია.

გინა. მაგაში დარწმუნებული ხარ, ეკდალ?

იალმ. შენ თითონა ნახე.

გინა. ჰო, აბ, მე ბევრი გამეგება.

ჰიალ. ედვიგ, შეიძლება გავხსნა და წავიკითხო?

ედვ. თუ გინდა, რასაკვირველია, შეიძლება.

გინა. არა, ეკდალ, დღეს ნუ, ეგ ხომ ედვიგისთვის არის სახვალიოდ.

ედვ. (დედას ჩუმად). მოეცა, წაიკითხოს. შიგ სასიამოვნო რამე იქნება, დარწმუნებული ვარ მამას ესიამოვნება და ყველანი ისევ გავმხიარულდებით.

ჰიალ. მაშ, შემიძლიან გავხსნა?

ედვ. შეგიძლიანთ, მამა. მართლა, საინტერესოა, შიგ რა სწერია!

ჰიალ. აბ! (გახსნის, ამოიღებს ქაღალდსა და კითხულობს. უცბად შეკრთება). ეს რა არის?

გინა. რა არის?

ედვ. თქვი, მამა.

ჰიალმ. ნუ მიშლი! (წაიკითხავს ერთხელ კიდევ, გაფითრდება, შემდეგ თავს იმაგრებს და ამბობს). ეს საჩუქრობითი მოწმობაა, ედვიგ!

ედვ. მართლა! რას მივიღებ?

ჰიალმ. აჰა, შენ თითონ წაიკითხე. (ედვიგი ლამპასთან მივა და კითხულობს. ჰიალმარი ჩუმად მუშტებსა ჰკუმშავს). ეს თვალები!.. თვალები!.. და ეს წერილიც!

ედვ. (კითხვასა სწყვეტავს). აქ პაპაზეა,

ჰიალმ. (გამოართმევს) გესმის ესა, გინა?

გინა. მე ხომ არაფერი გამიგონია, ამიხსენით მეცა.

ჰიალ. კომერსანტი ვერლე სწერს ედვიგს, რომ იმის მოხუც პაპას აღარ მოუნდება ამას იქით გადაწერაზედ ტანჯვა, რადგან ის ყოველთვე მიიღებს ბ. ვერლეს კანტორიდგან ასს კრონს.

გრეგ. ა!

ედვ. ასს კრონსა, დედა ეს მე თითონ წავიკითხე.

გინა. რა ვუყოთ, პაპასთვის ეგ ძალიან კარგია.

ჰიალ. ასს კრონს სანამ ის ამას ისაჭიროებს, ე. ი. სიკვდილამდის.

გინა. მაშ ის ეხლა სრულიად უზრუნველ-ყოფილია!

ჰიალმ. ახლა ქვევით. შენ ეს ჯერ არ წაგიკითხავს, ედვიგ. მერე ეს ფული გადმოდიან შენზედ.

ედვ. ჩემზედ? ყველანი?

ჰიალმ. ის იწერება, რომ შენც უზრუნველ გყოფს ამავე ფულებით მთელს შენს სიცოცხლეში, გაიგონე, გინა?

ედვ. და მთლად ამ ფულებს მე მე მივიღებ? (კალთას დასწევს). მამა, მამა, გიხარიან?

ჰიალ. (იქით მიაყენებს). მიხარიან. (დადის ოთახში). ეხლა თვალები ამეხილა. ეს სულ ედვიგისთვის არის, ამას ასაჩუქრებს ის ესე გულუხვად!

გინა. ხვალ ედვიგის დაბადების დღეა.

ედვ. მერე იმას ხომ შენ მიიღებ, მამავ, რასაკვირველია, მე მთლად ჩემს ფულებს სულ შენა და დედას გადმოგცემთ.

ჰიალ. დედას! ჰო! აი თურმე!..

გრეგ. ეს მახეა, ჰიალმარ.

ჰიალ. შენა გგონია ეს ისევ მახეა?

გრეგ. დღეს დილით აქ რომ იყო, მითხრა, ვითომ ჰიალმარი იმისთანა კაცი არ არის, როგორიც შენა გგონიაო!

ჰიალმ. იმისთანა არ არისო?

გრეგ, და თან დაატანა, რომ ჩქარა დაინახავ ამასაო.

ჰიალმ. ჰო, დაინახავ, როგორ მივცემ ნებას ფულებით პირში ბურთი ჩამჩარონ!

ედვ. დედა, ეს რას ნიშნავს?

გინა. ედვიგ, წადი, დაიძინე. (ედვიგი სამზარეულოში გადის).

გრეგ. ჰო, ჰიალმარ, ეხლა გამოჩნდება მე უფრო მართალი ვარ თუ მამაჩემი.

ჰიალმ. (ნელ-ნელა ჰხევს ქაღალდს, აწყობს ორივე ნახევს მაგიდაზედ). აი ჩემი პასუხი!

გრეგ. მეც მაგას ველოდი.

ჰიალ. (მიუახლოვდება გინას. ყრუ ხმით). ეხლა კი უნდა მთლად საიდუმლო გამოაშკარავდეს. როცა შენ... როგორც შენ ამბობ, ისე შეგიყვარდი, ის რაღადა გშველოდა ჩვენ შეუღლებაში,

გინა. ალბად ეგონა, რომ ჩვენთან სიარულს დაიწყობდა.

ჰიალ. მხოლოდ მაგიტომ? თუ იმას ეშინოდა ერთგვარ შედეგებისა?

გინა. მე შენი არაფერი არ მესმის.

ჰიალ. მე მინდა ვიცოდე, შენს ბავშვს ნება აქვს ჩემს ჭერ ქვეშ იცხოვროს?

გინა. (წელში გაიმართება, თვალები უბრწყინავენ). შენ კიდეც მკითხავ მაგასა?

ჰიალ. პირდაპირ მითხარი... ედვიგი ჩემი ქალია... თუ არა?

გინა. (უცქერის ცივად დასტერებით). არ ვიცი.

ჰიალ. (ოდნავ კანკალით), არ იცი?

გინა. ჩემისთანამ აბა საიდგან უნდა იცოდეს ეგა.

ჰიალ. (გამობრუნდება). მაგ შემთხვევაში მაშ მე აქ ადგილი აღარა მაქვს.

გრეგ. კარგად მოიფიქრე, ჰიალმარ!

ჰიალმ. (პალტოს იცვამს). აქ მოსაფიქრებელი არაფერია იმისთანა კაცისთვის, როგორიც მე ვარ.

გრეგ. არა, სწორედ აქ გინდა მოფიქრებაა და დიდი მოფიქრებაც, ჰიალმარ. თქვენ სამნივე ეხლა უნდა უფრო მჭიდროდ შეკავშირდეთ, შეურიგდეთ, თუ გინდა აღმაღლდე თავგანწირულებასა და საყოველთაო შენდობა-მიტევებამდე.

ჰიალ. არა, არასდროს, არასდროს! (აიღებს შლიაპას). ჩემი საოჯახო ბედნიერება დაიმსხვრა. (ტირის). გრეგერს, მე ხომ აღარა მყავს ქალი!

ედვ. (სამზარეულოდან შემოდის) რა? (მიდის მასთან). მამა, მამა! რას ამბობ?

გინა. ყური უგდე...

ჰიალ. არ მომეკარო, ედვიგ! წადი, დანახვაც არ შემიძლიან შენი!.. ოჰ, ეს თვალები! მშვიდობით! (მიდის).

ედვ. (მაგრად ჩამოეკიდება კისერზე). არა, არა! ნუ წახვალ, ჩვენთან დარჩი!

გინა. შეხედე ერთი ბავშვსა! შეხედე, რა მესმის!

ჰიალ. არ მინდა, არ შემიძლიანა აღარაფერი აღარ მინდა თქვენი! (ედვიგს ხელს გააშვებინებს და გავა ტალანში).

ედვ. (სასოწარკვეთილებით). დედა, მამა ჩვენგან მიდის! წავიდა. აღარ დაბრუნდება არას დროს.

გინა. ნუ ტირი, ედვიგ. მამა ჩქარა ისევ დაბრუნდება.

ედვ. (ტირის. დივანზედ დაეცემა). არა, არა! აღარ დაბრუნდება!

გრეგ. მე მხოლოდ კეთილი მინდოდა, დამერწმუნეთ, ქ-ნო ეკდალ...

გინა. შეიძლება, ღმერთია თქვენი მსაჯული.

ედვ. (დივანზედ წევს). მე მოვკვდები! რა ვუყავი გინა იმას! დედა, შენ უნდა დააბრუნო ისა!

გინა. ჰო, კარგი. ოღონდ შენ დამშვიდდი, მე წავალ და ვიპოვნი. (პალტოს იცვამს). იქნებ რელლინგთან არის. მერე შენ აქ არ იტირებ? პირობას მაძლევ?

ედვ. (თრთის და ტირის). ჰო, აღარ ვიტირებ... ოღონდ კი მამა დაბრუნდეს!

გრეგ. (გინას). იქნება სჯობდეს ჯერ დააცადოთ, რომ მაგ სულის კვეთებაში ბოლომა მოიკლას.

გინა. ეჰ, ეგ იმას მერეც შეუძლიან. ჯერ უნდა ბავშვი დავამშვიდოთ. (გადის ტალანში).

ედვ. (დაჯდება და ცრემლებს იწმენდს) თქვენ უნდა ამიხსნათ, რატომ აღარ უნდა მამას ჩემი დანახვაც კი ამას იქით?

გრეგ. ჯერ ამაზედ ნურაფერსა მკითხავთ... გაიზრდებით და გაიგებთ.

ედვ. (სლოკინით) მანამდის ხომ გავგიჟდები კიდეც... აი რა... მე გავიგე, იქნებ მამიჩემის ნამდვილი ქალი არა ვარ?

გრეგ. (აღშფოთებული) ესე იგი როგორ?

ედვ. იქნება მე დედამ მიპოვნა... მამამ კი მხოლოდ ეხლა გაიგო... მე წამიკითხნია, რომ ეგრე ხდება ხოლმე.

(შემდეგი იქნება)

გ. ნამორაძე.

შემდეგ „ინანიებს“ ცოდვებს აზეფი,—დასძენს პეტროვი.

აზეფის ცრემლები საზოგადო როდი ყოფილა. ეგ მისი იარაღია, ცრემლებს მიჰმართავდა ხოლმე თურმე ყოველთვის, როდესაც საქმე გაუჭირდებოდა.

წერილები მიჩვენა, „ოხრანკისაგან“ აზეფმა, რითაც სამუშაოდ იწვევენ, მაგრამ აზეფი არ დათანხმებულაო, სწერს ვ. ბურცევი.

რა გულუბრყვილობაა! განა არ იცის ბურცევმა, რომ დამცველი პოლიცია რამდენს ბარათსაც უნდა, იმდენს დაუწერს აზეფს, ოღონდ საქმე გააკეთოს? არა, რუსის საზოგადოება ვეღარაფერს დაუჯერებს მაგისთანა ხალხს, თუნდა მისი მოსარჩლე ვ. ბურცევიც იყოსო,—დასძენს გ. პეტროვი და ზიზღით იხსენიებს იუდა გამცემელს, რომელიც ვაჭრობდა სახრჩობელასათვის გამზადებულ ადამიანის სიცოცხლით.

სხვა და სხვა ამბავი

ოდესის უნივერსიტეტში.

მედიკურმა ფაკულტეტმა მემარჯვენეთა ხმის უმეტესობით დიაგნოსტიკის კათედრა, რომელიც პროგრესისტ პროფესორს ვალტერს ეჭირა თავისუფლად გამოაცხადა იმ მოსაზრებით, რომ ვალტერმა კანონით დადებული ვადა—30 წელი—უკვე იმსახურა, თუმცა რამდენიმე მემარჯვენე პროფესორი 35 წელზე მეტს მსახურობენ.

ტყვე ქალი.

სამი თვის წინად ქ. ეკატერინოსლავის სასტუმრო „ავსტრალიაში“ ხელზე მოსამსახურეთ დამდგარა 16 წლის ქალი დაშევსკაია. ორი დღის შემდეგ სასტუმროს პატრონს ბოგუშევსკის და ორ მდგმურს გაუხრწნიათ იგი, ჩაუკეტიათ ოთახში და ორი თვის განმავლობაში ძალით აძლევდნენ თურმე სტუმრებს. ამ დღეებში საბრალო ქალი ოსმალოსთვის მიუყიდნიათ სტამბოლს წასაყვანად, მაგრამ ბედად ქალს მოუხერხებია პოლიციისთვის თავის მდგომარეობის შეტყობინება. მოძალადენი დაუპატიმრებიათ.

ახირებული მოგზაურობა

როდესაც ჩქარი მატარებელი „ზუდ-ექსპრეს“ პარიზს მისულა, ვაგონს ქვეშ უნახავთ ახალ-გაზრდა რუმინელი, რომელიც ბუქარესტში შეჯდომია ვაგონს ქვეშ და ამნაირად 36 საათი უმოგზაურნია.

საყოველთაო გაფიცვისათვის მზადება ბელგიაში.

გაზეთების სიტყვით ბელგიაში დიდი ქადაგება და მუშაობაა რკინის გზის მუშებში. ემზადებიან დიდ საყოველთაო გაფიცვისათვის, რომელიც უნდა მოხდეს 1913 წლის მარტში. ამ დროისათვის ბელგიელ სოციალისტებს ამერიკელ, გერმანელ, ინგლისელ, საფრანგეთისა და შვედელ ამხანაგობისაგან ფული მოუვათ. გაზეთების სიტყვით ბელგიის მუშებს ეს გაფიცვა 20 მილიონ მანეთამდე დაუჯდებათ. გაზეთები დასძენს, ეს გაფიცვა, თუ მართლა მოხდა, ძალიან დააზარალებს ბელგიას და შეიძლება ფეხზე წამოდგომა ვეღარც კი მოახერხოსო.

თორმეტ-გირვანქიანი საბრალ-მდებლო ოქმი.

ბერლინის ერთი ბანკირი გაკოტრდა. იმის საქმის გამო შეადგინეს საბრალ-მდებლო ოქმი, რომელშიაც 200 გვერდია და 12 გირვანქას იწონის. მსაჯულმა ამ ოქმის გამო 9 თვის დასვენების ნებართვა მიიღო. ბრალდებულსა და მის დამცველებს საქმის გასაცნობად ორი თვის ვადა მისცეს.

დეპეშები

(დეპეშათა პეტერბ. სააგენტო)

23 აგვისტო.

საზღვარ-გარედ

სანოვაგის დაძვირება გერმანიაში.

ბერლინი. სოციალისტებმა 70 კრილობა გამართეს სანოვაგის დაძვირების გამო და მოითხოვეს პურისა და საქონლის გადასახადის მოსპობა და რეისტაგის საჩქაროდ მოწვევა.

იმპერატორი ვილჰელმი.

ცურიხი. იმპერატორი ვილჰელმი 5 საათზე ჩამოვიდა. ვაგზალში შვეიცარიის პრეზიდენტი დახვდა, საღამოს ნადიმიც გაიმართა.

მაღაროს აფეთქება.

ბეთუნი. კლარანსის ქვა-ნახშირის მაღაროებში აფეთქება მოხდა. მაღაროში 73 მუშა იყო. 23 კაცი დაშავდა, სამი მოკვდა, ათი მორჩა. ამბობენ, მაღაროში დარჩენილი 37 მუშა დაიღუპაო. მაღაროებში საშინელი კომლი დგას და მუშათა შველას ხელს უშლის.

პოლონელთა მოწოდება.

კრაკოვი. ზაკოპანსა და სხვა ადგილებში გაავრცელეს აუარებელი პროკლამაცია. იგი მოუწოდებს პოლონელთ დამოუკიდებლობისათვის ბრძოლისაკენ და განსაკუთრებით რუსეთის წინააღმდეგ არის მიმართული. პროკლამაციას მომამზადებელთა კომიტეტი აწერს ხელსა.

სამხედრო წესები.

ჩარლსტონი. არეულობის გამო, რომელიც ქვა-ნახშირის მუშათა გაფიცვას გამოუწვევია, სამხედრო წესები გამოაცხადეს. დაიჭირეს 1500 თოფი, 7 ტყვიის-მფრქვეველი, აუარებელი რევოლვერები და 200 ათასი პატრონა.

სტუდენტების დაპატიმრება.

ქაირი. ყოველ დღე აუარებელ ხალხს აპატიმრებენ საამბოხო პროკლამაციის აღმოჩენის გამო. პოლიცია განსაკუთრებით ყურადღებას აქცევს სტუდენტებს, შეაჩერეს ნაციონალისტების გაზეთის „ლევოს“ გამოცემა.

ქიამილ-ფაშას ნაუბარი.

ვენა. „ნეიე-ფრაიე-პრესეში“ დაბეჭდილია ქიამილ-ფაშასთან ნაუბარი. ქიამილს უთქვამს, ტყუილია, ვითომ ოსმალეთის მთავრობა ვისამე დათმობას უპირებდეს, დეცენტრალიზაციის გზას დასდგომოდეს და ეროვნებათათვის პრივილეგიის მიცემასაო.

სპარსეთი.

თეირანი. შაჰინ-შაჰის ბანკმა 250 ათასი მისცა მთავრობას განზრახულ სესხის ავანსადა.

ჩინეთი.

პეკინი. ჩინეთის ოფიციოზი ინგლისის ნოტის გამო ამბობს; ინგლისის მიერ ტიბეტის შესახებ ნოტის გამოგზავნა ჩინეთის სუვერენიტეტს არღვევსო. ინგლისმა თუ ტიბეტის ჩაყლაპვა მოინდომა, რუსეთი ყელთ ძვლად დაადგება და ჩინელებსაც ძლიერ გადაიკიდებსო.

დაპყრობილთა წარმომადგენელნი.

რომი. იტალიის მიერ აღებული კუნძულელთა წარმომადგენლები მთავრობამ არ მიიღო. წარმომადგენლები მემორანდუმს ამზადებენ, სადაც უნდა აღნიშნონ მცხოვრებთა გაჭირვება და იტალიას სთხოვონ, დაიხსნას ოსმალეთის სისასტიკეთაგან.

იტალიის გემები.

ალექსანდრია. იტალიის სამხედრო გემები ქალაქიდან 6 მილის სიშორეზე დასცურავენ.

სერბიელთა და ალბანელების არეულობა.

პრიზრენი. ჩერნოგორიის საზღვარზე 5000 სერბი გამწარებულად იბრძვის ცემოვიჩისა და ვუშკოვიჩის მოთავეობითა.

(ალბანელებმა) ბაში-ბუზუკებთან ერთად სერბიელთა 13 სოფელი გადასწვეს, გადაბუგეს ბერანის სკოლა და ეკლესია. გარდა ამისა ბევრი ქალი და ბავშვი მოუკლავთ და დაუსახიჩრებიათ. მეამბოხეებს 7 სიმაგრე აუღიათ და ღამ-ღამობით ოსმალებს თავს ესხმიან. ჰოსტივაცში ალბანელთა ბრბოები ქრისტიანების სოფლებს სძარცვავენ. მთავრობა დაუძლურებულა. ამისთანავე მდგომარეობაშია კალკანდელენის მიდამოები.

რუსეთი

ჟანდარმთა პოლკოვნიკის დაჭრა.

პიატიგორსკი. ვიღაც უცნობმა მძიმედ დასჭრა ჟანდარმთა პოლკოვნიკი ლუპაკოვი და მიიმალა.

ვატმანების გაფიცვა.

ხარკოვი. საეკონომიო ნიადაგზე გაიფიცნენ ქალაქის ტრამვაის კონდუქტორ-ვატმანები. მოძრაობა შესწყდა.

გაფიცვა შესწყდა, რადგან ყველას დათხოვნას დაემუქრნენ.

სუვორინის საქმე.

პეტერბურგი. მეფე-იმპერატორს წარუდგა „ნოვოე ვრემიას“ ახლად გარდაცვალებული გამომცემლის შვილი მიხეილ სუვორინი.

იუშჩინსკის მოკვლის საქმე.

კიევი. საგუბერნიო მმართველობის დადგენილებით მაძებარ პოლიციის აგენტი სმოლოვიკი იუშჩინსკის მოკვლის საქმეში სიყალბის ჩადენისათვის სამართალში მისცეს 362 მუხლის ძალითა.

წერილი რედ. მიმართ

ბ-ნო რედაქტორო!

გიგზავნით ამასთან სამ მანეთსა და 30 კაპ. და გთხოვთ გადასცეთ ქ-ნ ტასია დავითაშვილისას.

კავკავი. **ივანე ჩითაევი.**

ბ-ნო რედაქტორო!

უმორჩილესადა გთხოვთ თქვენს პატივცემულ გაზეთში ალაგი დაუთმოთ ამ ანგარიშს.

29 ივლის **ქ. შ. წ.-კ. საზ. სამტ. განყოფ. გამგეობამ** გამართა სეირნობა.

შემოვიდა:

ბალში შესასვლელი ბილეთებიდან 125 მ. 75 კ., წარმოდგენიდან 14 მ. 50 კ., კონფეტიდან 17 მ. 40 კ., ტომბოლოდან 20 მ. 28 კ., ამერიკული ბაზრიდან 134 მ. 35 კ., ტკბილეულობიდან 34 მ. 77 კ., ბუფეტიდან 130 მ. 90 კ., შემოწირულება ფულად 34 მ. **სულ 511 მ. 95 კ.**

დაიხარჯა:

აფიშები 9 მ. 50 კ., კონფეტი, შოკოლადი და სხვა 11 მ. 70 კ., მაშხალები 9 მ. 32 კ., ქაღალდის ფარნები 4 მ. 65 კ., სანთელი 3 მ. 60 კ., მეფარნეების ხარჯი და ქირა 7 მ., ამერიკული ბაზრის ნივთები 24 მ. 80 კ., ბაირაღი და ლენტები 2 მ., ლუდი 36 მ. 20 კ., ჭურჭლის ქირა 6 მ. 67 კ., ლიმონისა და სელტერის წყალი 24 მ. 72 კ., ბაღის ქირა 5 მ., ქათმები, გოჭი, ყველი და ერბო 15 მ. 60 კ., ღვინო 9 მ. 73 კ., ხე-ტყის მასალა 7 მ. 70 კ., და სხვა და სხვა წვრილმანი ხარჯები 104 მ. 63 კ.

სულ 282 მ. 84 კ.

განყოფილებას დარჩა წმინდა მოგება 229 მ. 11 კ.

ფულად შემოსწირეს:

ქ. ელჩარეკოვმა 9 მ., ზ. გუსეინოვმა 5 მ., პ. გუსეინოვმა 3 მ., ი. დეკანოზიშვილმა 3 მ., ი. ანისიმოვმა 3 მ., ე. ლოსაბერიძემ 3 მ., არ. ნაზაროვმა 2 მ., ა. ფიალკოვსკისამ 2 მ., მ. აბრამოვმა 1 მ., ფ. რუხაძემ 1 მ., ე. კორძაიამ 1 მ., ა. დგვეფაძემ 1 მ., ა. ხუხუნაიშვილმა 1 მ., ლ. მაქტიაშვილმა 50 კ., ი. მეგრელიშვილმა 50 კ., ტერ-დავიდოვმა 50 კ.

ამერიკულ ბაზრისთვის შემოსწირეს სხვა და სხვა ნივთები:

სპ. სიხარულიძემ, სტ. სტურუამ, დ. კვანტალიანმა, ა. სტურუამ, ა. კალაძემ, პ. ნარჩომაშვილმა. ი. მეგრელიშვილმა, ს. ჟორჟოლიანმა, ნ. ნაცვალაძემ, ი. ქართველიშვილმა, მ. რუხაძემ, ა. ფიალკოვსკისამ, პ. ძიძიგურმა, თ. ჩომახიძემ, ი. გუნიამ, მ. რუხაძემ, ბ. კორძაიამ, ს. შილაკაძემ, ლიპარტიანმა, გეგეჭკორმა, ა. შტეინბერგმა, რ. შენგელიამ, ქ. ჩომახიძემ, სტურუამ, ხუხუნაიშვილმა, კალაძემ, ახობაძემ, კუპრეიშვილმა, ი. გიგინეიშვილმა, ძმ. ალბერტოვებმა, ვ. რუხაძემ, გ. ბახტაძემ, ს. ტაბიძემ, ი. მეგრელიშვილმა, ი. ხუჭუამ, ი. ჯანჯღავამ, სანაძემ, ს. ჯავახიამ, ს. გეგიამ, ა. ცერცვაძემ, ი. კაკაურიძემ, ა. პაპავამ, ნ. კიკაჩეიშვილმა, კ. კვანტალიანმა, ვ. ხარებავამ, ი. დოლონაძემ, ვ. ხურცილავამ, დ. ლორიამ, გ. მაღდავაძემ, ი. რევიშვილმა, ი. გოგოძემ, ე. სურგულაძემ, ე. ცაგარეიშვილმა, ს. ქართველიშვილმა, ი. ჩიგინეიშვილმა, გ. ადეიშვილმა, ა. ქუქალიამ, რ. ნანეიშვილმა, ი. კახაძემ, პ. ქაჯაიამ, ა. სტურუამ, მ. სტურუამ, ი. ბახტაძემ, ი. ქართველიშვილმა, ლ. კვანტალიანმა, ა. შანიძემ, კ. ბახტაძემ, დ. ქანკვეტაძემ, ს. ნიკურაძემ, მ. გუგუნავამ, მ. ფრანგიშვილმა, მღებროვმა, ნ. იობაძემ, ა. ასათიანმა, დ. ცავამ, ვ. ქაჯაიამ, ლ. მიქაძემ, გ. მუმლაძემ, მ. ცაგარეიშვილმა, ბ. ბუკუჩავამ, ნ. ელიაშვილმა, ა. დუნდუამ, ს. ჩიგოგიძემ, ძმ. გაჩეჩილაძემ, მ. ბახტაძემ, პ. დევიძემ, ნ. სილაგავამ, ა. სტურუამ, ვ. კოხრეიძემ, ს. ქაზზინაძემ, ი. კოხრეიძემ, მ. გეგიშიძემ, ი. მინაშვილმა, ლ. ხუჭუამ, კ. სტურუამ, კ. კოპალეიშვილმა, ა. გიგინეიშვილმა, თ. ნაცვლიშვილმა, ს. ლოლაძემ, ა. ანდიაძემ, ე. მაჩიტაძემ, პ. სტურუამ, დ. ლორიამ, ს. ფრანგიშვილმა, ი. ზამთარაძემ, დ. გელაზონიამ, პ. გეფერიძემ, ნ. ჯანელიძემ, ნ. შენგეიამ, ნ. კოჩინევმა, ფრანგიშვილმა, ა. კაშიამ, ს. ფრანგიშვილმა, ს. კრავეიშვილმა, ვ. ანჯაფარიძემ, ა. ბოხუამ, ა. გეგიშიძემ, ნ. გიორგაძემ, შენგელიამ, თავართქილაძემ, გ. ბერაძემ, ი. ლეკვეიშვილმა და გ. ჩარუამ.

განყოფილების გამგეობა გულწრფელ და უღრმეს მადლობას უცხადებს როგორც ფულისა ისე სხვა და სხვა ნივთების შემომწირველთ და ყველა იმ პირთ, რომელთაც ასე თუ ისე შრომა არ დაიშურეს, ხელი შეუწყეს და მონაწილეობა მიიღეს სეირნობის გამართვაში.

განყოფილ. მდივანი **ვლად. ნაცვალაძე.**

რედაქტორ-გამომცემელი ნ. კურდღელაშვილი.

განცხადებანი

თმის
სალბამი
კაკლის ექსტრაქტისა.

თმას სწრაფად და საფუძვლიანად ღებავს, სურვილისამებრ ნაზ-ქერა ფრად, თუ კუპრშავად. თავდებნი ვართ, რომ უვნებელია.

პარფ. № 4711. **თეოდ. მიულჰენსი,**
მის იმპ. უდ. ხრულ. რუს. იმპ. სასახლის იჯარადარი **კოლნი და რ. ● რიგა.**
დაარს. 1792 წ.

ფასი ფლაკონისა 1 მან. 20 კ. დიდი ფლაკ. 2 მან. Метцль. 309266. 309286. 10—432—1)

მატარებელთა მიმოსვლა
(საზაფხულო).

(დრო აღნიშნულია ტფილისის საათით).

ტფილისიდან გადის.

ბაქოსაკენ: ჩქარი მატარ. № 2, პლაცკარტით დილის 10 ს. 8 წ. **საფოსტო** № 4, ღამის წ. 12 ს. 10 **სახალხო** № 6, ნაშუადღ. 2 ს. 44 წ. **ნარევი** მე-IV კლ. ვაგ., ან მე-III, დილის 4 ს. 37 წ.

ბათუმისაკენ: ჩქარ. მატ. № 11, პლაცკარტით ღამის 10 ს. 44 წ. **საფ.** № 3, დილ. 9 ს. 41 წ. **სახ.** № 5, საღ. 6 ს. 36 წ. **ნარევ.** მე-IV ან მე-III კლ. ვაგ. დილ. 6 ს. 18 წ.

ბორჯომისაკენ: სახ. № 7/8 დილ. 7 ს. 58 წ. **სახ.** № 9/10 ნაშუადღ. 3 ს. 5 წ.

მცხეთაში: საგარაკო მ ა ტ. № 77 a **, ნაშუადღ. 3 ს. 55 წ. **საგარ. მატ.** № 77 **, დილ. 8 ს. 45 წ.

ჯულუფისკენ: საფოსტო № 74/75 ღამის 12 ს. 40 წ.

ერევნისაკენ: სამგზ. და საბარგო მატ. № 78/79, მე-II და მე-III კლ. ვაგონ., საღ. 7 8 წ. **სახ.** და **საბარგ. მატ.** № 109/104 I—III კლ. ვაგ. დილ. 11 ს. 28 წ.

ტფილისში მოდის.

ბაქოდან: ჩქარ. მატ. პლაცკარტ. № 1, საღ. 9 ს. 56 წ. **საფ.** № 3, დილ. 8 ს. 41 წ. **სახ.** № 5, ნაშუადღ. 5 ს. 51 წ. **ნარ.** მე-IV ან მე-III კლ. ვაგ. № 107, დილ. 4 ს. 56 წ.

ბათომიდან: ჩქარ. მატ. პლაცკ. № 12, დილ. 9 ს. 18 წ. **საფ.** № 4, საღ. 11 ს. 15 წ. **სახ.** № 6, ნაშუადღ. 1 ს. 59 წ. **ნარ.** მე-IV ან მე-III კლ. ვაგ. № 106, ღამ. 3 ს. 40 წ.

მცხეთიდან: საგარაკ. № 76 a*, საღ. 8 ს. 28 წ. **საგ.** № 76 **, ნაშუადღ. 1 ს. 28 წ.

ბორჯომიდან: სახ. № 9/10 საღ. 9 ს. 8 წ. **სახ.** № 7/8, დილ. 7 ს. 8 წ.

ჯულფიდან: საფ. № 72/73, დილის 7 ს. 26 ს.

ერევნიდან საქონ. და **სახ.** № 80/81, შუადღის 12 ს. 48 წ. **საქონ.** და **სახ.** № 110/111, ღამ. 6 ს. 33 წ.

გემების მიმოსვლა
საზაფხულო შავზღვასა და კასპიის ზღვაზე

რუსეთის სავაჭრო-სანაოსნო ამხანაგობისა

ბათომიდან გადის:

1 **ირგვლივ მოსიარული**, სამშაბათ ღამე 12 ს. 30 წ. ყველა ნავთსადგურებში შეივლის, 2 **ირგვლივ მოსიარული** ხუთშაბათს ღამის 12½ ს. პირდაპირი ბათომ-ყირიმისა, შაბათ ღამ 12½ საათზე გაუვლის სოხუმს, გაგრას, სოჩს, ტუაპსეს, ნოვოროსიისკს, ფეოდოსიას, იალტას, სევასტოპოლსა და ევპატორიას.

სამგზავრ. გემები ყველა ნავთსადგურში შემვლელი ორშაბათობით 12 ს. დღისით და შაბათობით დღის 12 საათზე. დაწვრილებითი ცნობანი შეიძლება მიიღოთ ტფილისში ველიამინოვის ქუჩაზე № 18. ტელეფონი № 11. იქვე იყიდება სამგზავრო ბილეთები და საქონელი, ბარგის ჩაბარება და დაზღვევა იქ შეიძლება.

სანაოსნო ამხანაგობა კავკაზი და „მერკური“

ბაქოდან გადის:

ასტრახნისკენ კვირაობით, ორშაბათობით, სამშაბათობით, ხუთშაბათობით, პარასკევობით და შაბათობით შუადღის 12½ ს.
კრასნოვოდსკში ყოველდღე საღ. 8 საათ.
ასტრაში ხუთშაბათობით საღამოს 6 საათ.
ლენქორანში ორშაბათობით საღ. 6 საათ.
ენზელში (პირდაპირი ჩქარი) სამშაბათობითა და პარასკევობით საღამოს 6 საათზე.
კრასნოვოდსკსა, ჩიკიშლიარსა, ასტრაბადსა, მეშედესერეს ხუთშაბათობით საღამოს 8 საათზე.
მტკვრისაკენ კვირაობით, სამშაბათობით ხუთშაბათობით და პარასკეობით საღამოს 6 საათზე.

ბაქოში მოდის:

ასტრახნიდან ყოველდღე საღ. 8 საათზე.
კრასნოვოდსკიდან ყოველდღე დილის 6 ს. 45 წ.
ასტარიდან ხუთშაბათობით საღ. 6 საათ.
ლენქორანიდან ხუთშაბ. დილის 8 საათ.
ენზელიდან (პირდაპირი და ჩქარი) პარასკევობითა და ორშაბათობით დილ. 11 ს.
მეშედერესიდან, ასტრაბადიდან, ჩიკიშლიარიდან და **კრასნოვოდსკიდან** სამშაბათობით დილის 6 ს. 45 წ.

ყოველგვარი ცნობანი, რკინის გზის ბილეთი და პლაცკარტები საქონლის გაგზავნისა თუ დაზღვევის საქმე იკითხეთ **ტფილისში** ერევნის მოედანზე № 3. „**კავკაზ ი მერკური**“ ტელ. 682.

სასანიტარო ექიმები

უბნები: 1, 2—9 **პ. ფომინა-ოსიპოვისა** ვაკეში, საკუთარი სახლი, ტელეფ. 461).

მე-4 და რუსის ბაზარში **ქრ. ლ. ქალანთაროვი** (სოლოლაკი, ამაღლების ქ. 8, 517).

5—6 **ი. მ. ზაბლუდოვსკი** (გრიბოედოვსკი, 10. ტელ, 645).

10, 11—12 **გ. ა. მირაქოვი** (მიხეილის ქ., 174 ტელ. 327).

7—8 **გ. თ. ნათიშვილი** (ვორონცოვის ძეგლთან, მონუმენტნი შესახვ. 5. ტელ. 487).

სასურველია, თვითონ მცხოვრებლები დაგვეხმარებოდნენ სასანიტარო წესიერების შემოღებაში და სადაც-კი ამ მხრივ უწესობას შეჰნიშნავენ—სახლებში თუ სხვა ადგილებში სასანიტარო მოთხოვნილებათ არღვევენ, ცუდს საჭმელ-სასმელს აკეთებენ და ჰყიდიან და სხ.—დაუყონებლივ ზემოდ დასახელებულ ექიმებს აცნობონ, წერილობითი განცხადებები ყველას შეუძლიან გარდასცეს ქალაქის სავაჭრო პოლიციის კანტორებში: ვერის მოედანზე. რუსის ბაზარში, თათრის მოედანზე, კახეთის მოედანზე, ავლაბარში რიყის ქუჩაზე, 54, ელისაბედის ქუჩა 56 და მალაკნის მოედანზე.

ქალაქის საავადმყოფოები

მთავარი—მუხრანის ქუჩა, 9.
ავლაბრისა—კახეთის ქ. № 15.
ხარფუხისა—ვორონცოვის ქ. 55.
კუკიისა—ჩერქეზიშვილისა, 1—18.
დიდუბისა—საგურამოს ქ. 5.

ქალაქის საბჭოს ექიმები მოვალენი არიან ღარიბ მცხოვრებთ უფასო საექიმო დახმარება აღმოუჩინონ ქალაქის საავადმყოფოებში და თვითონ ავადმყოფის ბინაზედაც ყოველმა თავ-თავის უბანში), თუ უბრალო ექიმი დილის 11 საათამდე მოიწვიეს, ვალდებულია იმ დღესვე ინახულოს ავადმყოფი, გარდა საჩქარო შემთხვევებისა, როცა დახმარება დაუყოვნებლივ უნდა მისცეს.

უფასო საექიმო დახმარება

ქალაქის საბჭოს ექიმები.

უბნები
1—2 **გ. ა. გედევანი** (სდგას ვერაზე, ოლგის ქუჩა, 22. ტელეფ. 592).
3—4 **მ. ი. შავერდოვი** (ფეთხაინის აღმართზე, 1, ტელ. 619).
5—6 **ტ. მ. თათეოსიანი** (ველიამინოვის, 4, ტელეფ. 680).
6—7 **შ. ა. მიქელაძე** (ავლაბარში, კახეთის ქ., 1, ტელ. 715).
8—9 **ნ. დ. ხატისოვი** (კუკიაში, ნიკოლოზის ქ. 7, ტელ. 715).
10, 11—12 **ა. ი. შჩერბინინისა** (დიდუბეში, საგურამოს ქ. 5. ტელეფ. 71

ექიმ ნავასარდიანის კერძო ქირურგ. სამკურნალო.

დაარსებულია 1880 წელს.
(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

ავადმყოფების მიღება ყოველ დღე გარდა კვირისა.

დილით:

„606“—11—12 ს. **შეშხაპუნება კონსულტატიურად.**

ბ. ა. ნავასარდიანი: 11—12 ს. ქირურგიული, და ვენერიული (სიფილ.) ავად.
ბ. გ. აგასაროვი: 1—2 ს. შინაგანი ბავშვთა ავადმყ.
კ. მ. ჩიქოვანი: 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.
ზ. ი. ბაბანასოვი: 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა,
ნ. ტ. მულინი: 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.
მ. გ. ავეტისიანცი: 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.
გ. ი. გურგენოვი: 12—1 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.
ა. პ. კარაპეტიანცი: 12—1 ს. შინაგანი საბავშვო და ყვავილის აცრა.
ექიმი ქალი **ე. ნ. ამბრუმოვა-მელიქიანი** 1—2 ს. საბებიო დ. ქალების ავადმ.

საღამოთი:

მ. გ. ავეტისიანცი: 6—7 საათ.

რჩევა-დარიგება 50 კაპ. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.

სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი **ბ. ა. ნავასარდიანი.**
(წ. 1078.198

გ. და მ. ტერ-დავიდიანცის
საბუღალტრო კურსები

ტფილისში, ნიკოლოზის ქ., № 36; ვორონცოვის ძეგლთან. ყოველნაირ ცნობებისთვის კურსების კანცელარია ღიაა ყოველ დღე საღამოს 4—7 საათამდე. (25—1437—12)

გამოსულია და იყიდება
ნ. შიუკაშვილის
პიესა **„მეგობრობა“,** დრამა 4 მოქმედებ. ფასი 30 კაპ.

ქ. შ. წერა-კითხ. გამ. საზოგ. წიგნის მაღაზიაში
ისყიდება სახელმძღვანელო წიგნები: (20% დათმობით)

გოგებაშვილის დედა-ენა I უყდო . . . . . . ფ. 10 კ.	იოსელიანის ლოცვანი ყდით 30 კ.
" " I ყდიანი— 15 კ.	" სამღრთო სჯული — 50 კ.
" " II — — 40 კ.	ერისთავი გ. რჩეული თხზულებანი . . . . . . 60 კ.
" ბუნების კარი . . . 70 კ.	ხახანაშ. ქართ. სიტ. ისტ. 1 მ. 25 კ.
" Методика къ Русскому слову . . . . . 40 კ.	აკაკი. იგავ არაკნი . . . . 50 კ.
" Русское слово I . . 40 კ.	ვეფხის ტყაოსანი . . . . 60 კ.
" " " II . . 50 კ.	კაცია-ადამიანი? . . . . 20 კ.
გომელაური. ქართველი მწერლები . . . I . . 80 კ.	გლახის ნაამბობი . . . . 20 კ.
" " II 1 მ. 45 კ.	კაკო ყაჩაღი . . . . 5 კ.
	ქართ. წერის დედანი სახატავი ნიმუშებით . . . . 25 კ.

ადრესი: Тифлисъ, О-во распр. Гр. ср. гр. насел. (წ. 1141.107)

საუკეთესო სხვილ-მარცვლოვანი ხიზილალა!!!

თევზის მრეწველნი
ძმ. ძეველოვები.
პუშკინის ქ., საკუთარი ს. № 9.
ტელეფონი № 712.
ყურადღება!
მივიღეთ მარიამობისთვის
კილკები
(წ.1131.238)

მშვენიერი გემოსი და სურნელოვანია. მომზადების საუკეთესო საშუალების წყალობით დიდხანს უძლებს გადატან-გადმოტანას და ამიტომ ვურჩევთ საავარაკოდ და საზღვარ-გარედ მიმავალთ მის შეძენას.

მივიღეთ აგრეთვე ბოჭკის საუკეთესო
ხიზილალა,
გირვანქა 1 მ. 60 კ.

1912 წ. მიიღება ხელის მოწერა
დასურათებულ საყმაწვილო ჟურნალ
„ნაკადულ“-ზე
წელიწადი მერვე.

ჟურნალი გამოვა ჩვეულებრივი პროგრამით და საგანგებოდ არჩეულ სარედაქციო კომისიის ხელმძღვანელობით, მონაწილეობას ღებულობენ ჩვენი ცნობილი მწერლები და პედაგოგები.

წლიურ ხელის მომწერლებს მიეცემათ:

24 **წიგნი** „ნაკადულისა“ მცირე წლოვანთათვის; 12 **წიგნი** „ნაკადულისა“ მოზრდილთათვის.

საჩუქრად მიეცემათ წლიურ ხელის მომწერლებს
დასურათებული 120-ზე მეტი ორიგინალური იგავ-არაკი ალ. მირიანაშვილისა.

ფასი ჟურნალისა; წლიურად ორივე გამოცემა 5 მან., ნახევარ წლით—3 მან. ცალ-ცალკე: მცირე წლოვანთათვის 24 წიგნი—3 მან. მოზრდილთათვის 12 წ. 3 მ. ფულის შემოტანა შეიძლება ნაწილ-ნაწილადაც.

ხელის მოწერა მიიღება **ტფილისში** „ნაკადულის“ რედაქციაში, გოლოვინის პროსპექტზე, ზუბალაშვილების სახ. Головинскій просп. д. № 8 და წერა-კითხვის საზოგადოების მაღაზიაში. **ქუთაისში:** ისიდორე კვიცარიძესთან, თ. მთავრიშვილთან, მარიამ ყაუხჩიშვილთან და „ნაკადულის“ აგენტებთან; **სამტრედიაში**—ივანე გლადკოვთან, **ფოთში**—თეოფილე კანდელაკთან, **ბათომში**—კნ. სოფიო ნაკაშიძესთან და ტრაფიმ ინასარიძესთან, **დ. ხონში**—ეკატერინე ვასილიასულ ბახტაძესთან, **ოზურგეთში**—ლეო იმნაძესთან, **თელავში**—ვანო პაატაშვილთან, **ახალციხეში**—კონსტანტინე გვარამაძესთან, **ბაქოში**—ვასილ აბულეძიანთან და ივანე ელიაშვილთან, **გორში** ნინო ლომაურთან და ქ-ნ ჯავახიშვილთან, **სოხუმში**—კნ. მარიამ ანჩაბაძესთან, **შიათურაში**—ივანე გომელაურთან, **განჯაში** ბ. ამბოკაძესთან და **ერევანში** კ. ოცვიშარიასთან. **ყარსში**—ფერშალ ვანო საათაშვილთან.

რედაქტორი **ნინო ნაკაშიძე.**

(წ.—1393—99 წ.) გამომცემელი **თავ. პავლე იოსების ძე თუმანიშვილი.**